წელიწადი მესამე ფასი 7 კაპ. პარასკევი, 20 იანვარი, 1917 წ. № 15

# საქართველო

ხელის მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება „საქართველოს“ რედაქციასა და კანტორაში ყოველდღე კვირა-უქმეების გარდა, დილის 9—3-მდე.
ხელმოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება; დაუბეჭდავი მცირე წერილები და კორესპონდენციები სულ არ ინახება; ინახება ერთის თვით მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობანი.
რედაქცია და კანტორა იმყოფება: თბილისში, მოსკოვის ქუჩაზე, № 4.
ფოსტის ადრესი წერილებისა და ფულისათვის: Тифлисъ, редакція „Сакартвело“, поч. ящикъ № 76

განცხადების ფასი
პირველ გვერდზე ... — ... კანდიდატების ... —20 კ., კაკასიის გარეშე მიღებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტი 1 გვ. ეღირება 50 კ. 4-ზე 30 კ., ტექსტში—80 კ. სამგლოვიარო განცხადება თითოჯერ ზომით 15×2 ღირს 6 მ.; 20×2 ღირს 8მ., 25×2 ღირს 10მ. 3 საათის შემდეგ (მიიღება მხოლოდ ა. კალანდაძის სტამბაში) ღირ. მეტი. დამატებითი № ღირს ყველგან 10 კაპ.

ყოველდღიურ საპოლიტიკო, საეკონომიო და სალიტერატურო გაზეთი

## „საქართველო“

ყოველკვირაულ სურათებიან დამატებით ღირს:
მთელის წლით—15 მან., ნახევარის წლით—9 მან., სამის თვით—5 მან., ერთის თვით—1 მ. 80 კაპ. ფოსტით ერთი თვით გაზეთის გამოწერა არ იქნება.
წლიურ ხელის მოწერის ფასი შეიძლება ნაწილ-ნაწილად იქნას გარდახდილი შემდეგის წესით: ხელის მოწერის დროს—7 მან.; პირველ მარტისთვის 5 მან. და პირველ იანვრისათვის 3 მან. ვისაც წლიურად სურს გაზეთის გაწერა, ეს უნდა მოიხსენიოს პირველსავე ხელის მოწერის დროს. მისამართის გამოცვლისათვის ქალაქგარეთელმა ხელის მომწერმა უნდა წარმოადგინოს 50 კ. ფოსტის მარკა.
რედაქციის მისამართი: თბილისი, მოსკოვის ქ. № 4. ანუ ფოსტის ყუთი № 76 (почт. ящикъ № 76)
კანტორა ღიაა: დილით—9-ან—3 საათამდე, საღამოს—5-ან—7 საათამდე.
რედაქტორი: ხარიტონ შანშიაშვილი.
გამომცემელი: ამხანაგობა „საქართველო“.


## დილის წარმოდგენა
### ახალ კლუბის შენობაში

კვირას, 22 იანვარს, ქართულ დრამატიულ საზოგ. დასის მიერ

წარმოდგენილი იქნება: **ქრისტინე** დრ. 4 მოქ. ბ. ირეთელისა.

მონაწილეობას მიიღებენ: ქ-ნნი: აბაშიძე, დავითაშვილი, ქიქოძე, ქილარჯიშვილი, შოთაძე, ჯავახიშვილი, ბ-ნნი: იმხნელი, აბაშიძე, ბარველი, გვარაძე, ფრონისპირელი, ზარდალიშვილი, თარალაშვილი, ჩაგუნავა, ნინიძე, კობახიძე.

ადგილების ფასი 170—50 კ.-მდე. ✦ დასაწ. დილის 12 საათზე.

ადმინისტრაცია ქართ. დრამ. საზოგადოებისა.

(3—524—1)

## ხარფუხის საზოგადო კლუბი

(მიხეილის პროსპექტი, № 163, საზამთრო შენობა)

პარასკევს, 20 იანვარს,

## სინემატოგრაფი
## სიმფონიური ორკესტრი

სტუმრები საზოგადო წესით. ✦ დასაწყისი საღამოს $8^1/_2$ საათზე.
(1—525—1)

მოიკითხეთ ყველგან



გ. ლეონიძის
რედაქტორობით

გამოცემა „ამხანაგობისა“

გამოვიდა დ იყიდება ყველგან

## „ბედი ქართლისა“
## ნიკ. ბარათაშვილის
სრული ფაქსიმილე

ფასი ერთი მანეთი.



წიგნი წარმოადგენს სრულს ასლს ნ. ბარათაშვილის ხელნაწერისას (ვეზირიშვილის ვარიანტი).

ვისაც ფოსტით უნდა გამოწერა, უნდა მიმართოს: Тифлисъ Бол. Ванкская № 12. ივანე მათეს ძეს ნაცვლიშვილს.

ქ. თბილისი. 2 თებერვალი 1917 წ.
საიმპერატორო სამუსიკო სასწავლებლის საკონცერტო დარბაზი.

## „ცისფერი ყანწები“
## დიდი მხატვრული საღამო—ახალ ხელოვნებისა

I. პაოლო იაშვილი
წარმოსთქვამს:
„ცისფერი ყანწები—ჩვენი ახალი აღთქმა“

II. ვალერიან გაფრინდაშვილის
სიტყვა:
ხტეფან მალარმე—თეთრი ოცნება.

III. ლექსთა თქმა.

1. ვალერიან გაფრინდაშვილი: „ქალის სიმღერა“, „სხვანაირი ტრფობა“, „მისტიური მარულა“, „არლანი“ და სხვ.
3. პაოლო იაშვილი: „წითელი ხარი“, ფარშავანგები ქალაქში“, „პლექიანი მისალმება ზამთარს“, „სონეტი ორსართულიანი“, სონეტი საქართველოს“ და სხვ.
4. ნიკოლოზ ნადირაძე: ლექსები წიგნიდან—„ავზნიანი ქალაქი“.
5. არ. ჰუმბაძე: „ლირიკული პოემები“.
6. გრ. ჯაფარი: „თეთრი ლექსები“.
7. ლელი ჯაფარიძე: „წამების ქმარი“, „დღესასწაულზედ“, „თეთრ ქუჩებში“, „ორსული მზე“, ლექსები რკალიდან: „ტირილი მთვარისთვის“, „ჩემი დაბადება“ და სხვ.

IV.
ბოდლერის, ვერლენის, მალარმეს, რემბოს, როლინის, კორბიერის, ვერჰარნის, უაილდის, ბალმონტის, ბლოკის, ანდრეი ბელის ლექსთა საკუთარ თარგმანებს და გრ. რობაქიძის, ტიტე ტაბიძის, ელენე დარიანის ლექსებს წარმოსთქვამენ:
ვალ. გაფრინდაშვილი, პაოლო იაშვილი, ნიკოლოზ ნადირაძე, გრ. ჯაფარი, ლელი ჯაფარიძე.

საღამო გაიხსნება 8 საათსა და 10 წუთზე.

ბილეთებზედ წინ-სწარი ჩაწერა შეიძლება ქართულ სახაიეში.

ექიმი
## მ. ი. ვაჩნაძე
იღებს ბავშვთა და შინაგან სნეულ. ავადმყოფებს მუდამ დღე, კვირა-დღის გარდა საღამოს 5—7 საათამდე, ბელინსკის ქ. № 4. (თ.—202—)

ექიმი
## კ. ი. გვარჯალაძე
შინაგან და ბავშვთა სნეულებიან ავადმყოფებს მიიღებს ყოველდღე საღამოს 6—7 ს., კვირა დღის გარდა. ქსენიევის ქუჩა, № 4, სასტუმრო ვეტცელის გვერდით. ტელეფ. 15—00.

გოლოვინის პრ. და სამხედრო ქუჩაკუთხეში, ფოსტა-ტელეგრაფის პირდაპირ გაიხსნა
## ახალი აფთიაქი
პროვიზორის ახვლედიანისა

ექიმბაში
## გ. მ. მუხაძე
იღებს სადოსტაქრო ავადმყოფთ საღამოს 5-6 ს.-მდე, კვირა დღეს გარდა მისამართი: დიდი მთავრის ქუჩა № 67; ოფიცერთა საეკონომიო საზოგადოების შენობის პირდაპირ; სახლი სვანიშვილისა. ტელეფონი № 5—77.

დოქტორი მედიცინისა
მოსე ანთიმოსის ძე
## კალანდარიშვილი
უმფროსი ექიმი თბ. კადეტთა კორპუსისა.
ბავშვთა, შინაგან და ქირურგულ სნეულებიან ავადმყოფებს მიიღებს ოლღას ქ. № 3.

ექიმი
## ფონ-ირტელი
(მიხეილოვის პროსპ. 128, კრილოვის ქუჩის კუთხე, 1, შესავალი კრილოვის ქუჩიდან, სახლი ოჰანეზოვისა).

მოხკოვის სასაზინო საავადმყოფოს ყოფილი ორდინატორი, სპეციალისტი დოსტაქრობისა, საშარდე მილისა, სქესობრივი ორგანოებისა, სიფილისისა და მის შედეგებისა (საშარდე მილის დავიწროება); სქესობრივი უძლურებისა, სიმსივნისა, ჰრილობისა, ბუასილისა, თეთრანასი, საშარდე ბუშტის სნეულებისა და საშვილოსნოსი. ორივე სქესის ავადმყოფების მიღება ხდება დილის $9^1/_2$-დან 1 საათამდე და ნაშუადღევის 5—9 საათამდე.
ერლიხის „914“ და „606“
შეშხაპუნება


## იერიში ახალის გზით

ძველი ქართველი.

# ომის ამბები

## ბრძოლის ველზე

გერმანელთ რიგა-დვინის ასპარეზზე, სახელდობრ კალნცემ-შლოკის ხაზზე, ინიციატივა ხელთ უგდიათ და, მრავალ რიცხოვან არტილერიის დახმარებით, გაშმაგებულ იერიშების მიტანა დაუწყვიათ. როგორც ოფიციალ დეპეშიდანა სჩანს მოპირდაპირეს წინ წამოუწევია კალნცემიდან რამოდენიმე ვერსის მანძილზე. რუსეთის ჯარი სასტიკ წინაალმდეგობას უწევს გერმანელთ, თუმცა ალაგ-ალაგ უკან დახევა უხდება. აღსანიშნავია ისიც, რომ მოპირდაპირე იერიშებს მრავალრიცხოვან რაზმებით აწარმოებს. საზოგადოთ უნდა ითქვას, რომ ბრძოლას ხსენებულ მიდამოში სასტიკი ხასიათი მიუღია; ამავე დროს ეს ბრძოლა პირისპირი ბრძოლაა და რთულ მანევრებს ალაგი არა აქვს. აი სწორედ ეს გარემოება, ცოტა არ იყოს, ეჭვსა ჰბადებს და გვაფიქრებინებს, რომ მოპირდაპირეს აქ განზრახვა არა აქვს ბრძოლის ხაზის გარღვევისა, ვინაიდან, ჯერ ერთი, ამ მიდამოში ბრძოლა—უპირველესად წვერზედ ბრძოლაა და, მაშასადამე, ბრძოლის ხაზის გარღვევას მთავარი მანევრი სხვა ალაგიდან უნდა მოჰყვეს, მეორეც—თვით მიდამოს მდებარეობა მეტად უხერხულია ფართო ოპერაციისათვის. უფრო მოსალოდნელია, გერმანელები იმდენად ფართო დემონსტრაციას ახდენენ, რომ სცდილობენ გადამწყვეტ ოპერაციის ილიუზიის შექმნას, ამით რუსეთის სამხედრო შტაბის ყურადღება აქეთკენ მიიპყრობს და ნამდვილათ კი ბრძოლის ხაზის გარღვევას იქ შეეცდება, სადაც ადვილად შესძლებს ჯარების თავისუფლად დანაწილებას. წარმოვიდგინოთ, რომ გერმანელებმა ბაბიტის ტბასთან შესძლეს ხაზის გარღვევა და წინ გაჭრა. მათ უპირველესად გადაეღობებათ წინ ჯერ ერთი ქ. რიგა და მეორეც—თვით მდინარე დვინა. ამ ორივ ბუნებრივ სიმაგრეების დახმარებით, რუსეთის სამხედრო შტაბი ადვილათ შესძლებს შემოჭრილ ჯარის შეჩერებას. გარდა ამისა, გერმანელთათვის მეტად საჭირო ხაზის გამოსწორება სწორედ რიგა-დვინის ასპარეზზე. გერმანელთა ბრძოლის ხაზი ჩრდილოეთით გლაუდენთან მდ. დვინის მარცხენა ნაპირით მიდის, რიგასთან კი იგი უფრო დაშორებულია და მდებარეობს ბაბიტის დასავლეთით მაშასადამე, რაკი ქალაქი რიგა ჯერაც ისევ რუსების ხელშია, გერმანელთა ჯარის მარცხენა წვერი ყოველთვის საშიშ მდგომარეობაში იქნება შემოვლისაგან. რიგა—საუცხოვო ბაზაა და გერმანელნიც აუცილებლივ უნდა შეეცადნენ ან სავსებით დაეპატრონონ ან და ეს ქალაქი საარტილერიო ცეცხლის მიდამოში მოაქციონ და სრულებით მოუსპონ სტრატეგიული მნიშვნელობა ბრძოლის ველისა. დღევანდელი ბრძოლა შლოკ-კალნცემის ხაზზე უფრო თვით მარცხენა ხაზის გამოსასწორებლადაა გამოწვეული. გერმანელთათვის აუცილებლივ საჭიროა თავიანთი ხაზი დვინაზე გადმოიტანონ და მისი მარცხენა ნაპირი საფარად გაიხადონ. სანამ ეს მანევრი თავის შედეგით დამთავრებული არ იქნება, მოპირდაპირე გაბედულად ვერ აწარმოებს მთავარ ოპერაციას რუსეთის წინააღმდეგ, თუ კი მას დანამდვილებით გადაწყვეტილი აქვს ამ ოპერაციის დაწყება.

X.

## ომის დეპეშები

19 იანვარი.

**უმაღლეს მთავარსარდლის შტაბისა.**

**პეტროგრადი.** დასავლეთის ასპარეზი. რიგის სრუტის ნაპირად დაბა პაიჟაშე 17 იანვარს საღამოს ჩრდილო-აღმოსავლეთის მხარეს „ცეპელინ“-მა გადაიარა, თან მიდამოს პროჟექტორებით ანათებდა. ტირულის ჭაობებისა და მდ. აას შუა, გერმანელებმა, ზარბაზნების მედგარი დაშენის შემდეგ, რაზმად და რაზმად იერიში მოიტანეს, მდ. აას მარცხენა ნაპირას მდებარე ჩვენს სანგრებზე, მაგრამ სროლით შევაჩერეთ. კალნცემიდან შლოკისაკენ მიმავალ შარა გზაზე გერმანელებმა ზარბაზნების ძლიერი სროლისა და მახრჩობელა გაზით გატენილ ყუმბარების შემდეგ, ძლიერის ჯარით იერიში მიიტანეს, მაგრამ ზარბაზნების სროლით მოვიგერიეთ: მხოლოდ ამ გზის მახლობლად ჩვენმა ჯარმა ცოტა უკან დაიხია ჩრდილოეთისაკენ 1 ვერსზე. ამის მერე ზარბაზნებისა და მახრჩობელა გაზიან ყუმბარების მედგარი დაშენის შემდეგ გერმანელებმა ზედიზედ მოიტანეს იერიშები; ყველა იერიშები მოვიგერიეთ, მხოლოდ ძლიერი ბრძოლის შემდეგ, კალნცემის გზის აღმოსავლეთით ფეხი მოიმაგრეს; სამაგიეროდ იერიშის დროს ხელთ ვიგდეთ ტყვეები და ტყვიისმფრქვეველები; ამ იერიშის დროს მოჰკლეს სახელოვანი უფროსი ერთ-ერთი ჩვენი პოლკისა—პოლკოვნიკი პიმენოვი, ხოლო მეორე პოლკის უფროსი პოლკოვნიკი ბაჟენოვი უკვალოდ დაიკარგა. სტუდინის დასავლეთით და დაბა კისელინის ჩრდილო-აღმოსავლეთით მოპირდაპირე ორჯერ მოუახლოვდა ჩვენს სანგრებს, მაგრამ უკუვაგდეთ.

**რუმინეთის ასპარეზი.** მოპირდაპირის ცხარე სროლის დროს, ჩვენმა ჯარმა ფართე მანძილზე მავთულების ხლართის ორი წყება გადალახა, წელამდე თოვლს აპობდა ფრიალო ფერდობებზე და ხიშტების იერიშით აიღო იაკობენის აღმოსავლეთით 2 ვერსზე მდებარე მტრის გამაგრებული ადგილი, კიმპოლუნგის სამხრეთ-დასავლეთით. აქ ხელთ ვიგდეთ ტყვეები და დავლა, რომელთა რაოდენობასაც არკვევენ.

### საფრანგეთი.

**პარიზი.** საღამოს ოფიც. ცნობა. სუანსონსა და რეიმსის შუა მოპირდაპირის შემოტევა შევაჩერეთ. ვოგეზების მიდამოებში საკმაოდ ძლიერი სროლა იყო ზარბაზნებისა.

ჩვენმა მფრინავებმა ყუმბარები დაუშინეს გამის სამხედრო ქარხნებს, ფოლომორეს სადგურსა და ქარხნებს, რკინის გზის ატის, გომბლეს და კრიუშის სადგურებს.

**პარიზი.** დღის ოფიც. ცნობა. ვერში, ექს-ავსკურის მიდამოების სიმაგრეებს მარჯვეთ ვუშენდით ზარბაზნებს. ლორენში, ლენტრეს სამხრეთით, ჩვენი რაზმი შეიჭრა მტრის სანგრებში და იქ მყოფნი ამოჰხოცა. ასევე მარჯვეთ დავეცით მტრის სანგრებს მონსენის მიდამოებში. გამოირკვა, რომ ვალიუს ტყის ჩრდილო-აღმოსავლეთით მტრის საფრენი კი არ დაზიანებულა, ჩამოვარდნილა კიდეც.

### ინგლისი

**ლონდონი.** საღამოს ოფიც. ცნობა საფრანგეთის ასპარეზისა. სომის ბრძოლის ხაზზე, ვალენკურის ბორცვის გვერდით, მტრის სანგრებს ხელის ყუმბარები დავუშინეთ, სანგრები დავანგრიერ და ტყვეები წამოვიყვანეთ. გუშინ სუშეს აღმოსავლეთით მტრის სანგრებში შევიჭერით და დიდათ დავაზიანეთ. ლებეს მახლობლად გერმანელებმა ზარბაზნების სროლა გააძლიერეს. რიბურის და ლავუას პირდაპირ, არმანტიურის და იპრის აღმოსავლეთით გერმანელების სანგრებს ზარბაზნებს ვუშენდით! გერმანელებს 3 საფრენი გავანადგურეთ, 3 დაზიანებული საფრენი იძულებული ვყავით დაშვებულიყო.

**ლონდონი.** მთავრობის განკარგულებით ჯარში გაიწვიეს 1898 წელს დაბადებულნი. ვინც 18 წლისა შესრულდება, ორს კვირაში უნდა გამოცხადდეს.

### გემების დაღუპვა

**პარიზი.** საზღვაო სამინისტრო ოფიციალად იტყობინება: სოლუნისაკენ მიმავალი გემი „ადმირალ მაგონ“-ი 900 ჯარის კაცით, 12 იანვარს წყალქვეშამ ნაღმით დაღუპვას. გემი 10 წუთში დაიძირა. 809 კაცი გადაარჩინეს, დანარჩენები დაიღუპნენ. გემს თან მისდევდა კონტრ-ნაღმოსანი „არე“. დაღუპულთა უმრავლესობა აფეთქებამ იმსხვერპლა.

**ლონდონი.** ლლოიდს აცყობინებენ: რუსეთის გემი „ეგრიტ“-ი დაღუპულია.

**ლონდონი.** საადმირალო იტყობინება: დამხმარე კრეისერი „ლაურენციკო“-ი ნაღმს წასწყდომია და ისე დაღუპულა და არა წყალქვეშას ნაღმით. ეს გემი დაიღუპა პარასკევს საღამოთი ირლანდიის ჩრდილოეთ სანაპიროებთან: ზედ ყოფილა 475 კაცი. ამათგან დაღუპულა 260 კაცი. ასამდე ზღვაში გათოშვილა, სანამ მოეშველებოდნენ.

**სტოკჰოლმი.** ბერლინიდან იტყობინებიან: ოფიციალი ცნობა ადასტურებს, რომ ჰამერფესტანთან დაიძირა გერმანელების წყალქვეშა № „У 27“, რომელსაც ინგლისის დამხმარე კრეისერთან ჰქონდა ბრძოლა.

**სტოკჰოლმი.** ქრისტიანიიდან იტყობინებიან. ნორვეგიის გემიდან „გააკონ VII“ გერმანელების წყალქვეშამ 6 რუსი დაატყვევა. ესენი ლონდონისაკენ მიემართებოდნენ ყინულის მკვეთელ გემის წამოსაყვანათ. ეს გემი წყალქვეშას სრულიათ გაუჩერებია. წყალქვეშას უფროსს გემის უფროსისათვის განუცხადებია: ექვსი რუსი მიგყავთ ინგლისში ყინულის მკვეთელისათვის. სწორედ ეგენი გვინდაო“. ეს ექვსივე დაუტყვევებიათ და გემისათვის გზა დაულოცნიათ.

**ჰააგა.** დეპუტატთა პალატამ კანონი მიიღო გემების რეკვიზიციისა. ამავე დროს გააუქმეს წინად დადებული ხელშეკრულობანი.

### ნორვეგია.

**სტოკჰოლმი.** ქრისტიანიიდან იტყობინებიან: მეფის ბრძანებით 1916 წ. 30 ენკენისთვეს დაკანონდა წესები წყალქვეშა ნავების შესახებ: „მებრძოლ სახელმწიფოთა წყალქვეშა ნავები საბრძოლველად გამზადებულნი, ნორვეგიის წყლებში არ უნდა სცურავდეს. ვინც ამ წესს დაარღვევს, გაფრთხილების მიუცემლად ნორვეგიის გემები თავს დაესხმიან. ნორვეგიის მთავრობა წინააღმდეგი არ არის, რომ ცუდი ამინდისა გამო თუ ხალხის გადარჩენის გულისათვის შეაფარონ თავი ნორვეგიის წყლებს, მხოლოდ ასეთ შემთხვევაში მათ თავისი ეროვნული დროშა უნდა აფრიალონ და წყლის ზედა პირზე უნდა სცურავდეს და არა მოყურყუმალე. წყალქვეშამ მყისვე უნდა დასტოვოს ნორვეგიის წყლები, რაწამს შეხიზვნის მიზეზს აიცილებს. არამებრძოლ სახელმწიფოთა წყალქვეშა ნავებს, სამოქალაქო შეჰყურვილთ, ნორვეგიის წყლებში შეუძლიანთ ცურვა მხოლოდ დღისით კარგ დარში, ზედა პირზე, ეროვნულ დროშა-აფრიალებული. ეს ბრძანება ძალაში შევა 24 იანვრიდან.

ამგვარად ნორვეგია წყალქვეშა ნავების თარეშში გერმანელებისთვის ხელსაყრელ წესებს ადასტურებს და იმავე გზას ადგია, რასაც შვეცია.

## ჟურნალ-გაზეთებიდან

### გერმანეთი

**სანაპიროთა გარემოცვა**

ნორვეგიის საგარეო საქმეთა სამინისტროს ოფიციალი ცნობა მიუღია, რომ ინგლისი 7 თებერვლიდან შეუდგება გერმანეთის ჩრდილო სანაპიროების გარემოცვას, რათა ჩრდილოეთის ზღვიდან წყალქვეშა ნავებს გამოსასვლელი გზები შეუკრას.

შვედური გაზეთებიც იტყობინებიან: ინგლისელებმა ჩრდილოეთის ზღვის ჩრდილო სანაპიროებში ნაღმები ჩააწყესო.

**ინგლისის გარემოცვა.**

გაზეთების აზრით, გერმანეთსაც განზრახვა აქვს ინგლისის სანაპიროების გარემოცვა. ამისათვის მას დასჭირდება 1200 წყალქვეშა ნავიო. როგორც ვიცით გერმანელების 300 წყალქვეშა უკვე მოქმედებს, ხოლო 1000 ნავს დიდის სისწრაფით ამზადებენ.

**ვილჰელმის განზრახვა.**

ფრანგული გაზეთი „Oeuvre“ (საქმე) იტყობინება: ვილჰელმის დაბადების დღეს ბერლინში ესტუმრებიან: ავსტრიის იმპერატორი, გერმანელი თავადობა და მოკავშირე სახელმწიფოთა მეფენი. ვილჰელმი, თურმე, განზრახვა აქვს შემთხვევით ისარგებლოს და მათის დასტურით კვლავ წინადადება მისცეს მებრძოლ სახელმწიფოებს საერთაშორისო კონფერენციის მოწვევისა. ეს კონფერენცია დარაჯად ედგება მერმისის მშვიდობიანობასო.

### ინგლისი.

**წყალქვეშას თარეში.**

ინგლისის აღმოსავლეთ სანაპიროებში, სუფოლკის საგრაფოს სანაპიროებს კუმეტ ღამეს მიეპარა გერმანელების წყალქვეშა და სროლა აუტეხა. ბოლოს ისეთი ყუმბარები ესროლა, რომელიც ჰაერშივე სკდებოდა და მთელ სანაპიროს ანათებდა. ზარალი დიდი არ მიუყენებიათ.

### ნორვეგია

ქრისტიანიიდან იტყობინებიან: ინგლისსა და ნორვეგიის შორის დამოკიდებულება გამწვავებულია. ამის თაობაზე ნორვეგიის გაზეთი „Tidens Tegn“-ი სწერს: ჩვენმა მთავრობამ ისე არ უნდა წაიყვანოს საქმე, რომ ჩვენი ქვეყანა იძულებული გახდეს ინგლისთან დამოკიდებულების გამწვავების გამო ნეიტრალობა დაარღვიოსო. ამისათვის დროზე უნდა ზომების მიღება, სანამ გვიან არ არისო.

### რუმინეთი.

**სამეფო გვარეულობის გადმოსახლება**

კიევიდან იტყობინებიან: ამ დღეებში რუმინეთის სამეფო გვარეულობა ოდესაში მოვა, საიდანაც პეტროგრადში გაემგზავრებიან (სამხრეთ-დასავლეთ სრკინის გზის გამგეობას სწრაფი მოწერილობა მიუვიდა ოდესაში მზად იქონიოს მათთვის საგანგებო სოლონ-ვაგონი. ჯერ ცნობა არ გვაქვს, იასიდან როდის წამოვლენ ან მეფე ფერდინანდიც გამოემგზავრება თუ ბრძოლის ველზე დარჩება.

### სახელმწიფოთა მსოფლიო კავშირი

ამერიკაში გულმოდგინეთ ქადაგებენ „სახელმწიფოთა მსოფლიო კავშირის“ დაარსებას. ამ კავშირს ცენტრალი მთავრობა ეყოლება, რომელიც სამხედრო ძალაზე იქნება დამყარებული. უკვე დაიბეჭდა კონსტიტუცია ასეთი კავშირისა შარშან მაისში. ეს წიგნი უკვე მესამედ გამოსცა, თუმცა იგი მასაჩუზეტცში გამოიცა ფოლ რივერმა, ხოლო შეადგინა ედგარ ბრინკერჰოფმა. ბრინკერჰოფის აზრით „სახელმწიფოთა მსოფლიო კავშირში“ ორი პალატა იქნება—„სათათბირო“ და „სენატი“. სათათბიროში ყველა სახელმწიფოები 2 წლის ვადით ირჩევენ დეპუტატებს სახელმწიფოს მცხოვრებთა რაოდენობის მიხედვით. ყოველ სამ მილიონ მცხოვრებზე თითო დეპუტატი უნდა აირჩეს. ამ წესით რუსეთი აირჩევს 55 დეპუტატს, ინგლისი—143, საფრანგეთი—32, ბელგია—10, გერმანეთი—25, შეერთებული შტატები—36, ჩინეთი—114, ჰოლანდია—15, შვეცია, შვეიცარია, საბერძნეთი, ელზას-ლორენი და ლუქსენბურგი—თითოს. სულ იქნება 576 დეპუტატი.

სენატში თითო სახელმწიფო 6 წლით ირჩევს ორ-ორ წარმომადგენელს. სენატის თავმჯდომარედ იქნება კავშირის ვიცე-პრეზიდენტი. პარლამენტი წელიწადში ერთხელ მაინც შეიკრიბება იანვრის უკანასკნელ ორშაბათს. დეპუტატები გასამრჯელოს მიიღებენ „სახელმწიფოთა კავშირის“ ხაზინიდან.

პარლამენტს უფლება აქვს: ხაზინის შესავსებად გარდასახადები აკრიფოს შეზიდულ-გამოზიდულ საქონელზე; აიღოს სესხი, მოსჭრას ფული, გასცეს სესხი, იყოლიოს ჯარი, რომლის შესანახი ხარჯთ-აღრიცხვა 3 წლით დასტურდება. ჯარი საჭიროა, რათა „კავშირს“ შეეძლოს სახელმწიფოებს მშვიდობიანობა არ დაარღვევინოს. კავშირს ეყოლება აგრეთვე ფლოტი.

„კავშირის“ სათავეში იდგება 6 წლით არჩეული პრეზიდენტი. იგივე ითვლება ჯარისა და ფლოტის მთავარსარდლად. მასვე ენიჭება უფლება იყოლიოს კავშირის გარედ დარჩენილ სახელმწიფოებში [illegible], ელჩები მათთან [illegible] დასდევს „კავშირი“ [illegible] შეუდგება, თუ მას მიემხრო ინგლისი, რუსეთი, შეერთებული შტატები, საფრანგეთი, გერმანეთი, იაპონია, ავსტრია-უნგრეთი, იტალია და კიდევ 10 სხვა სახელმწიფო.

„კავშირის“ დაარსების 10 წლის შემდეგ, დანარჩენი სახელმწიფონიც ნებაყოფლობით თუ იძულებით „კავშირში“ უნდა შევიდნენ.

## უკანასკნელი ცნობები

**რიგიდან იუწყებიან: გერმანელებმა რეზერვებიდან აუარებელ ჯარებს მოუყარეს თავი და იერიშები მოაქვთ. ზარბაზნების შეუწყვეტელი ღრიანცელი ისმის რიგაში. დაბეჯითებით ამბობენ, ამ ოპერაციას ლეოპოლდ ბავარიისა ხელმძღვანელობსო.**

—

**ლოიდის სააგენტო იტყობინება, რომ რუსეთის გემი „ეგრიტი“ დაღუპულად უნდა ჩაითვალოსო.**

—

**ბერგენიდან იტყობინებიან: გერმანეთის წყალქვეშამ შეაჩერა გემი „ავთენპოსტენი“ და მოითხოვა ექვსი რუსი მგზავრი და ყინვის მტვრეველი, რომელიც რუსეთმა ინგლისში გაგზავნა. წყალქვეშას კაპიტანმა ექვსი რუსი გადმოსხა და ტყვედ წაიყვანაო.**

—

**მცირე ხნის დასვენების შემდეგ გერმანეთმა იხელთა და რიგის ფრონტზე გადაზიდა საომარი მასალა და გადაიყვანა მაშველი ჯარი. ამის შემდეგ გერმანეთმა რიგის ფრონტზე მოქმედება კვლავ განაცხოველა. რკალის მაგვარი ფრონტი 35 ვერსის სიგრძეა. გერმანელები შმარდენთან დემონსტრატიულ ხასიათის ბრძოლას ეწევიან, ხოლო მდინარე აასთან და ფრონტის რეზერვთან თავგამოდებით იბრძვიან, თუმცა გერმანელებს ჯერჯერობით ძალა არ შესწევთ, რომ ბრძოლას გადამწყვეტი მნიშვნელობა მისცენ. თუმცა არც ის შეიძლება ითქვას, რომ რუსების იერიში შესაფერის ნაყოფით გვირგვინდებოდეს.**

—

**შემახაში 17 იანვარს საშინელი მიწის ძვრა იყო, რომელმაც ორნახევარ საათს გასტანა.**

—

**ოდესის ქალაქის უფროსად გენერალ-მაიორი კნიაჟევიჩი დანიშნეს.**

## ახალი ამბავი

✦ **ქართულ ენის სწავლება საშუალო სასწავლებლებში.** იანვრის 25 პირველ საკლასიკო გიმნაზიაში კრება დანიშნული თბ. საშუალო სასწავლებელთან არსებულ მშობელთა წრეების ცენტრალ კომიტეტისა. კრებას დაესწრებიან წარმომადგენელნი ქართველთა, მუსულმანთა და სომეხთა ინტელიგენციისა. კრებამ უნდა შეიმუშაოს კითხვა ადგილობრივის ენების სწავლების რიგიანად დაყენებისა საშუალო სასწავლებლებში.

✦ **საკოოპერაციო სექციას,** ქართულ სასოფლო სამეურნეო საზოგადოებასთან არსებულს, სხდომა ექნება დღეს, 20 იანვარს, საღამოს 7 საათზე. განსახილველია ანგარიში სექ-

## შოთა და მისი ვეფხისტყაოსანი.

(დასასრული)

მატიანიდამ გარკვევით ჩანს, თუ რამდენი ჭირ-ვარამი გადიტანა თამარმა, ვიდრე გააგდებდა გალაღებულ თავადებსა და მოხელეების მიერ მოწვეულ „სკვითს“. ამ ხანში, ალბად, მისი საყვარელი დავითიც უქმად არ იჯდა, არამედ საქართველოსა თუ მის გარეშე ეძებდა მომხრეებს.

რომ ეს ასე იქნებოდა, გამოსჭვირს ჩახრუხაძის „თამარიანიდამ“ (56—63).

ქალი (თამარი!) თავის საგულოს (დ. სოსლანის!) შესახებ ამბობს: წავიდაო, მოიარაო აფხაზეთი, ხაზარეთი, იონთაველი (საბერძნეთი), მოვიდაო ამანს და გამობრუნდაო:

„მოიქცის გარე,
მოძებნის მთვარე,
შიშ ჰაერ-პირი
მნათობი დარი (დარეჯანი?),
მოჰყვანდის ქალი,
საჩემო სძალი,
მორცხვი, მორიდი,
ბრძნად მოუბარი“.

აქ, ჩვენის ფიქრით, უნდა იგულისხმებოდეს იგივე, რაც ვეფხის-ტყაოსანშია ნათქვამი შესახებ ავთანდილის მიერ ნესტან დარეჯანის მოძებნისა და მოყვანისა. სახუმარო არ არის, რომ თამარი „მნათობ დარის“ უწოდებს „საჩემო სძალს“: ავთანდილი და ტარიელი ძმად გაფიცულები იყვნენ, და თინათინისთვის ძმად გაფიცულის ცოლი მართლაც სძლად მისაჩნევი იყო.

თუ ეს მსგავსება თამარ-თინათინის ცხოვრებაში ერთ და იგივედ ვცნოთ, მაშინ თვით „მნათობ დარის“ მოძებნა და მოყვანის დროც შეგვეძლება დავათარიღოთ 1189 წლით: ამ წელს თამარი მისთხოვდა დავით სოსლანს.

ამავე ხანებს უნდა მივაკუთნოთ თვით ნესტან-დარეჯანისა და ტარიელის დაქორწინების ამბავიც.

ვეფხის-ტყაოსნით ვიცით, რომ ნესტან-დარეჯანი იყო ასული ინდოეთის შვიდ სამთავროს ხელმწიფის (იმპერატორის) ფარსადანისა, ხოლო ტარიელი-კი შვილი ერთ აქაურ მეფის სარიდანისა და ჩამომავლობითაც მოგვარე თვით ფარსადანისა. თუ რა დროს ცხოვრობდნენ ესენი, ამასაც ვცნობთ იმავე ვეფხის-ტყაოსნიდამ, ვინაითგან ფარსადანს თავის ქალის (ნესტანდარეჯნის) ქმრად სურდა მოეწვია შვილი ხვარაზმშაჰ ხვარაზმელისა, ხოლო პირველ ხვარაზმშად კი იყო აზიზი, რომელიც განუდგა სულტან სანჯარს (✝1158 წელს) და თავი თვისი გამოაცხადა **ხვარაზმშად.**

ხვარაზმშაობა მალევე ამის შემდეგ მოისპო.

ხვარაზმშაების წინაპარი იყო სელჩუკიანთ სულთნის მეჯოგის მონა ანუშტეკინი. მე-XI ს. გასულს იგი გამთავრდა ხოვარეზმს (ხივას). მისი შვილი მაჰმუდი ემორჩილებოდა სულტანს. მე-XII საუკ. ნახევრებში სასულთნოში მოხდა საშინელი ღელვა: სულტანი ბარკიაროკი და მისი ძმა სანჯარი იბრძოდნენ ტახტისთვის. უკანასკნელს გაემარჯვა, ძმა დაამხო და თვითონ გამეფდა. მაგრამ სანჯარს, რომელიც გარდაიცვალა 1158 წელს, განუდგა მაჰმუდის ძე აზიზი და, როგორც ვთქვით, იწოდა ხვარაზმშად. ამის შვილი ილ-არსლანი მოკვდა 1172 წელს, მისი ძე ტაკაში 1199 წელს, მაჰმუდი II 1120-ს, უკანასკნელი ხვარაზმშა ჯელალ-ედ-დინი 1231-ს, მაგრამ თვით ხოვარეზმის თავისუფლება კი მოისპო ადრევე, 1218 წელს. ეს ასე იყო:

ველურ მონგოლებმა დაიპყრეს: ჩინეთი 1215 წელს, ხოვარეზმი 1218-ს, ლეკეთი 1219 ს, საქართველოში მოვიდნენ 1220—1-ს, ბუხარა, ხორასანი და ერაყი დაიჭირეს 1223-ს, მოსკოვი 1236-ს, პოლონეთი 1240-ს, უნგრეთი 1241-ს. მათი შიშით საქართველოში გამოქცეული და ტფილისის ამკლები უკანასკნელი ხვარაზმშა ჯელალ-ედ-დინი მოჰკლეს 1231 წელს.

მაშასადამე, ფარსადანი, ტარიელი და ნესტან დარეჯანი იქნებოდნენ თანამედროვენი ერთ-ერთ იმ ხვარაზმშაებისა, რომელნიც მეფობდნენ ხოვარეზმს სანჯარის (✝ 1158 წ.) მებრძოლ **პირველ ხვარაზმშაჰს** შემდეგ ვიდრე 1218 წლამდე, როდესაც ხსენებული ქვეყანა დაიპყრეს მონგოლებმა.

ძნელია სთქვას კაცმა, სახელდობრ, რომელ ხვარაზმშას თანამედროვენი იყვნენ ფარსადანი, ტარიელი და მისი ნესტან-დარეჯანი. ეს კი ცხადად გამოსჭვირს ისტორიულ თხზულებებიდამ, რომ აღმოსავლეთი ხსენებულ დროს (მე-XII ს. ნახევრიდამ მონგოლების გამოჩენამდე 1200 წლებში) დიდს ღელვაში იყო.

ჯერ იყო და აქ ინდოეთიდგან ეგვიპტემდე და საბერძნეთამდე მფლობელობდნენ სელჩუკიანნი, რომელთაც საქართველოც დაიპყრეს ერთხანს და მხოლოდ დავით აღმაშენებელმა გასწმინდა მათგან ჩვენი ქვეყანა.

და მერე მათ მებრძოლად გამოჩნდნენ სხვა და სხვა დინასტიები, უმეტესად კი ათაბეგები ილდიგუზის მოთავეობით და ხვარაზმშაები. უკანასკნელი სელჩუკიანი ტოღრილი ღალატით მოჰკლეს 1194 წელს. ხვარაზმშაები შეიქმნენ მფლობელად სელჩუკიანთ „ინდოეთის“ თითქმის მთელის სახელმწიფოსი, ბაღდადამდე და ადარბადაგანამდე.

ამავე დროს ალამუტის კლდოვან სიმაგრეში და მის გარეშემო 50 ვერსის მანძილზე მკვიდრობდნენ ასასინები ანუ მულიდები, იგივე „ქაჯები“ ვეფხვის ტყაოსნისა ეს სამთავრო შეადგინეს მე-XI საუკუნეში საიდუმლო საზოგადოების წევრებმა. იგინი ებრძოდნენ ძალმომრეობას და წმინდა ქაჯურ გამბედაობითა და მანქანებით ეპარებოდნენ მძლავრებს და უწყალოდ ჟლეტავდნენ. შიშის ზარი დაატრიალეს მათ მთელს წინა-აზიაში. მათი აგენტები ყველგან დაწრწოდნენ და წუთისოფელს ასალმებდნენ დიდ-დიდ ხელმწიფეებს და მფლობელებს. მათ მოაწიეს თამარის კარამდეც (შავთ. 79), მაგრამ ვერას გახდნენ.

ამ გვარ პოლიტიკურ განწყობილებების დროს „ინდოეთის“ ხელმწიფის სელჩუკიანის კარს მოიკლა ხვარამშას შვილი. ეს უფრო გაამწვავებდა ისეც მწვავე ყოფა-ვითარებას. ტახტის დასამაგრებლად ფარსადან-ტარიელისათვის საჭირო შეიქნებოდა ძლიერი მომხრის ძებნა, და მაშინ ასეთი იყო საქართველო. ნესტანდარეჯანის ძებნად გამოსული ტარიელი ალბად საქართველოსკენ წამოვიდა, მით უმეტეს, რომ აქ მაშინ ცხოვრობდა თამარის მამიდა რუსუდანი, „სულტნის ცოლყოფილი“ (ქ. ცხ. 271) და „გვარზეიმობითა ბაგრატიონთა და ხვარასნისა და ერაყის სულტანთა სძლობით გამეცნიერებული“ (ქ. ცხ. 292). თანამგრძნობად აქ, ალბად, გამოუჩნდნენ თინათინ-თამარი, ავთანდილ-დავითსოსლანი, და ამათ, ალბად, გამოუგეს საქმე და დააბინავეს ტახტზე.

ვეფხვის ტყაოსნით ეს ასე იყო:

თინათინის დაგვირგვინების ზეიმის დღეებში მეფე როსტევანი და მისი სპასპეტი, ძე ამირსპასალარისა, გამოვიდნენ სანადიროთ. ნადირობის შემდეგ დასასვენებლად დადგნენ ერთ შვენიერ ხევის პირსა. აქ რომ ისვენებდნენ და ლხინობდნენ, ხევის იქით ნაპირას დაინახეს ვიღაც კაცი, ცხენოსანი. მეფემ გაგზავნა მხლებლები მის დასაძახებლად. მან ყურადღება არ მიაქცია. მეფემ ახლა სხვები გაგზავნა. მათ ხმაურობა-დანახვაზე ჭაბუკი მოახტა თავის ცხენს. მან გაჰქუსლა. ესენი გამოეკიდნენ. მეფეც გამოედევნა, მაგრამ ვერ დაეწივნენ. იგი გადიკარგა. მის საძებნელად თინათინმა გაგზავნა ავთანდილი, რომელსაც ამასთანავე გამოუცხადა, გამიგია, შენ გიყვარვარ და მეც თანაგიგრძნობო. სამ წლამდე ეძებე, მე შენთვის თავს დავიცავო. წავიდა. სამ წელს ორიოდე თვე უკლდა, რომ მიაგნო წყლის პირს შეხვედრილ გმირ-ჭაბუკს, რომლისაგან გაიგო, რომ ის იყო ინდოეთის მეფის ფარსადანის მოგვარე და მისი ქალის ნესტან-დარეჯანის მოტრფიალე. შეიტყო ისიც, თუ რა უბედურება დაატყდა თავს, როგორ მოჰკლა ხვარამშას შვილი, როგორ გაიტაცეს მისი საყვარელი ნესტან-დარეჯანი, როგორ უნაყოფოდ დარჩა მისი ძებნა მის მიერ და აწ რა უბედურ მდგომარეობაშია მარტოკად დარჩენილი დევთა გამოქვაბულებში. სცნო-რა ეს, ავთანდილს ძალიან შეებრალა ჭაბუკი, რომელსაც ერქვა ტარიელი, ძმობას გაეფიცა, დაჰპირდა დაკარგულ სატრფოს მოგიძებნიო, გამოეთხოვა, მოვიდა, თინათინს აცნობა ყოველივე, მერე ისევ დაბრუნდა ტარიელთან და იქიდან წავიდა ნესტანის საძებრად.

ციის მოქმედებისა 1916 წელს და ხარჯთ-აღრიცხვა მიმდინარე 1917 წლისა, აგრეთვე ასარჩევია სექციის 1 წარმომადგენელი, რომელიც ამიერ-კავკასიის კოოპერატივთა კავშირის თათბირს უნდა დაესწროს 22 იანვარს.

◆ **აპოლონ გაბუნიას სიკვდილის** გამო შემდეგი წერილი მოგვივიდა პეტროგრადიდან: „გული დამწყვიტა ამხანაგ აპოლონ გაბუნიას უდროოდ სიკვდილმა. კაცონს მწუხარებისას მეც მიუმატებ ჩემს ალს და მუხლმოდრეკით დავსტირი მის ცხედარს. ღრმად მწამს, რომ ჯგუფმა მოსკოვის ქართველ სტუდენტობისამ მასში დაკარგა თავისი საუკეთესო წევრი, ხოლო ქართველმა საზოგადოებამ კი ახალგაზდა ალსავსე იმედებითა, რომელთაც არ ეღირსათ გაფურჩქვნილიყვნენ, განხორციელებულიყვნენ. ლ. კიკაბიძე.

◆ **უწმ. სინოდის ბრძანება.** წმ. გიორგის კავალერთა შვილები, თანახმად სინოდის ბრძანებისა, სახელმწიფო ხარჯით უნდა გამოიზარდნენ სასულიერო უწყების სასწავლებლებში.

◆ **თეთრბილეთიანები.** სამხედრო და საშინაო საქმეთა სამინისტროთა შეთანხმებით შემოდგომამდე გადაიდო შემოწმება, 1909—1901 წლების თეთრბილეთიანებისა, ე. ი. იმათი, ვინც დაბადებულნი არიან 1889 წლის ღვინობისთვის 1 და 1888 წ. ენკენისთვის 30 შუა. ვინც უკვე შემოწმებულია, ჯანსაღად ცნობილი და უკვე ჯარში გაგზავნილი, ჯარშივე უნდა დარჩეს. ხოლო შემოწმებული, მაგრამ ჯერ ჯარში გაუგზავნელი, შემოდგომამდე განთავისუფლებული იქნება.

◆ **დ. სარაჯიშვილის სტიპენდიები.** ქ. შ. წ. კ. გამავრცელებელ საზოგადოებაში 1 თებერვლიდან 6 სტიპენდია თავისუფლდება დ. ზ. სარაჯიშვილის სახელობისა. სტიპენდიები მხოლოდ უმაღლეს სასწავლებლებში მოსწავლეთ მიეცემათ.

◆ **გოგირდის გადადნობა.** კავკას. სამეურნეო საზოგადოების საბჭომ ითხოვა თბ. მებაღეობის სკოლასთან გოგირდის გადასადნობი ქარხანა ააშენოს.

◆ **ფულის მოტაცება.** საბირჟო არტელის მეარტელეს ოგანეს კარაკოიანცს ორი ვაგონი სიმინდი გაუყიდნია, აღებული 5,250 მანეთი, რომელიც სრულიად რუსეთის ქალაქთა კავშირის მთავარ კომიტეტისათვის უნდა ჩაებარებინა, მიუთვისებია და დამალულა. კარაკოიანცი დაუჭერიათ.

◆ **ჯარისკაცების თეთრეულობა.** ჟანდარმმა თბილისის რკინის გზის სადგურზე დაიჭირა ორი ტომარა ჯარისკაცების საცვლებით სავსე. პატრონი ამ ტომრებისა აღმოჩნდა ერევნის გუბერნიის მცხოვრები პოლოს პოლოსიანცი, რომელმაც განაცხადა, სხვა და სხვა დროს ჯარისკაცებისაგან ვიყიდე იარმუკაზე 525 მანეთადაო.

◆ **მ. ანდრონიკაშვილი,** რომელიც დიდხანს იყო სატახტო ქალაქების პრესის სალაპარაკო სეგნად, გაძევებულ იქმნა პეტროგრადიდან.

◆ **პროგრამა სკოლებისათვის.** ქართული საქველ. საზოგადოება ქ. შ. წ. კ. გ. საზოგადოებას სთხოვს შეუდგინოს პროგრამა თავის სკოლებისათვის.

◆ **გორის სახოფლო სამეურნეო საზოგადოებასთან დაარსებული** საკომერციო განყოფილება დიდის ენერგიით შეუდგა მუშაობას. განყოფილებამ დაიკავეთა სხვა და სხვა საქონელი. უკვე მიღებული აქვს ვაზის სამსხლავი მაკრატლები, ვერმორელის მანქანები, შაბიამანი და სხ. „აქსაი“-ს 100 ცალი გუთანი გზაშია. უმთავრესად საქმეს ის აბრკოლებს, რომ საზოგადოების დამატებითი წესდება, რომელიც განყოფილების მოქმედებას შეეხება, გუბერნატორისაგან ჯერ დამტკიცებული არ არის და უამისოდ კი განყოფილების დამფუძნებელ კრების მოწვევა არ შეიძლება და ამასთანავე საქმეს ფართე და ლეგალური ხასიათი არ ექნება. დამატებითი წესდება საგულისხმიეროა იმ მხრივ, რომ ამ წესდების ძალით საკომერციო განყოფილების წმინდა მოგებას ურთიერთ შორის ინაწილებენ ამ განყოფილების წევრები და მოგების მხოლოდ 10 პროც. გადაირიცხება საზოგადოების სასარგებლოდ.

◆ **ქართლის კოოპერატივთა კავშირმა** 19 ვაგონი სიმინდი მიიღო წევრთა შორის გასანაწილებლად.

◆ **კავკასიის რეფორმა.** „უტრო როსიის“ ატყობინებენ, რომ უმაღლეს მართველ წრეებში აღუძრავსთ კავკასიის მართველობის სისტემაში დიდი ცვლილებები შეიტანონ, ფიქრობენ, კავკასიის სამეფისნაცვლო სრულებით გააუქმონ და დააწესონ კავკასიის საგენერალ-გუბერნატორო. გენერალ-გუბერნატორის ადგილზედ ასახელებენ მინისტრთა ყოფილ თავმჯდომარეს ა. თ. ტრეპოვს.

**ექსარხოსი პლატონი და მთაშაველი ბერი მარდარი.** „Русская Воля“ გვატყობინებს, რომ საქართვ. ექსარხოს პლატონს იანვრის დამლევისათვის პეტროგრადში ელიან. უწმიდეს სინოდს ცნობა მისვლია, რომ ყოვლად სამღვდელო დიდის ყურადღებითა და პატივით შეხვედრია ცნობილ მთაშაველ ბერ მარდარის, რომელიც სინოდის ბრძანებით არდონის სას. სემინარიაში იქნა განწესებული.

◆ **სამკურნალო საზოგადოების** წევრთა მორიგი კრება იყო 17 იანვარს. თავმჯდომარეობდა ექიმი ვესელოვზოროვი. საყურადღებო მოხსენებანი წაიკითხეს: ექ-მა ნ. ს. ორენბოვსკიმ, გ. მ. მუხაძემ, მ. ფ. მგალობლიშვილმა და ა. ა. არუთინოვმა. ექ. მუხაძის მოხსენება ეხება ქირურგთა მე-XIV კრებას მოსკოვში. როგორც ბ-მა მუხაძემ აღნიშნა, აღნიშნულ კრებას 1200 ქირურგი დასწრებია და 120 მოხსენება წაუკითხავთ. მოხსენებებში აღნიშნულია ქირურგიული ღონისძიებანი, ბრძოლის ასპარეზზე ნახმარი. ექ. არუთინოვის მოხსენებაში აღნიშნული იყო სხვა და სხვა ექიმების აზრი გადამდებ სნეულებათა აცრის უებარ მნიშვნელობის შესახებ და შინაურ მწერთან და პარაზიტებთან ბრძოლის მნიშვნელობა სენის გავრცელების წინააღმდეგ.

**ქუთაისი.**

— ქ. შ. წ.-კ. გამავრც. საზოგადოების ქუთაისის განყოფილებას ვასილ ქორქაშვილმა მისის, ოსმალეთის ფრონტზე მოკლულის, შვილის კოწიას ხსოვნის აღსანიშნავად შემოსწირა სოფელ გეგუთში მდებარე 16 ქცევა სახნავ-სათესი მიწა, ფულად 500 მან. და ხეტყის მასალა. შემომწირველი ითხოვს განყოფილება დაარსოს შეწირულ ადგილზე დაბალ ტიპის საპროფესიო სასწავლებელი (მებოსტნეობისა, მებაღეობისა ან სხვ.).

— გაზეთ „სამშობლოს“ დამაარსებელმა და რედაქტორმა ბ. იაკობ ცინცაძემ (ია ეკალაძე) განცხადება შეიტანა „სამშობლოს“ გამომცემლობის გამგეობაში. ბ. ცინცაძე ამბობს, რომ მას პირად გარემოებათა გამო არ შეუძლია განაგრძოს გაზეთის ხელმძღვანელობა და ამიტომ რედაქტორობისაგან განმათავისუფლეთო. გამგეობამ მადლობა გამოუცხადა მისის შრომისათვის, განათავისუფლა რედაქტორობისაგან და სთხოვა დარჩეს ამ გაზეთის მუდმივ თანამშრომლად და სარედაქციო კოლეგიის წევრად. სარედაქციო კოლეგიამ „სამშობლოს“ რედაქტორად ერთხმად ცნობილი ბელეტრისტი ნიკოლოზ მერაბის ძე ლორთქიფანიძე ამოირჩია.

— ბ. რაჟდენ დათეშიძეს ქუთაისისთვის პურის ფქვილი მოჰქონდა ვაგონებით, მაგრამ გზაში მთავრობამ რეკვიზიცია უყო.

— სიმინდის ფქვილი ბაზარზე ხუთ მანეთად გაიყიდა ფუთი. სიმინდი სრულებით არ იშოვება.

— ნინოობას ქუთაისში მხოლოდ თ. მთავრიშვილსა ჰქონდა დაკეტილი.

— მგოსანი კატო მიქელაძისა ქალაქის თეატრში იანვრის 20 ლექციასა ჰკითხულობს შემდეგს თემაზე: „ქალთა სწორუფლებიანობის მომხრენი თუ მოწინააღმდეგენი“.

— ამას წინად გარდაცვლილ მიხრან ანანოვს უანდერძებია: „სინათლის“ საზოგადოებისათვის 1000 მანეთი, საკომერციო სასწავლებლისათვის 2000 მანეთი, საქველმოქმედო საზოგადოების სკოლისათვის—250 მ. სულ ქართულ დაწესებულებათათვის დაუტოვებია 15.000 მანეთი. ბ-ნმა რაჟდენ დათეშიძემ ქუთაისის საკომერციო სასწავლებლის სახელით განსვენებულის კუბო 10 გვირგვინით შეამკო.

**განჯა.**

პოლიციამ გაჩხრიკა აქაური სავაჭროები და აღმოაჩინა: 1.000,000 კონა ასანთი, დიდძალი საპონი, ფქვილი, ბრინჯი, შაქარი და სამთელი. ყველანი, ვისაც-კი აღმოაჩნდა დამალული საქონელი, პასუხისგებაში იქმნებიან მიცემულნი.

**სვირი** (ქუთ. მაზ.)

სიმინდი არ იშოვება. შიმშილი კარს მოადგა აქაურებს. ფიქრობენ, ზაიცევის და ამხ. საშუალებით მოიტანონ რამდენიმე ვაგონი სიმინდი. ღვინის გაყიდვა უკვე დაიწყო, საპალნე (12 ფუთი) 80—120 მ. ფასობს.—ფიქრობენ უმაღლესი პირველ-დაწყებითი სკოლა დაარსონ და ზესტაფონის საშუალო სამეურნეო სასწავლებლის დაარსებაშიაც მონაწილეობა მიიღონ.

**შროშა** (სიღ. მაზ.)

დაარსდა პირველ-დაწ. ერთკლასიანი სასწავლებელი, რომლის გამგებლობა ქ. შ. წ.-კ. გამავრც. საზოგადოებამ იკისრა. სკოლაში ქალ-ვაჟნი ერთად სწავლობენ. მასწავლებელი სამია.

**დონის-როსტოვი.**

— პროფესორი მარის უკანასკნელმა ლექციამ „შოთა რუსთაველზე“ ქართველებში დიდი უკმაყოფილება გამოიწვია. წინააღმდეგნი იყვნენ მისის მოწვევისა.

— იანვრის დამლევს „ქართულ საზოგადოების“ ინიციატივით გაიმართება ქართული წარმოდგენა—კაბარე, რომლის წმინდა შემოსავალი გადაეცემა ქართველ ღარიბ სტუდენტებს.

— აქ ქართული ჟურნალ-გაზეთები საკმაოდ მოდის.

— პოლიცია შეუდგა სტუდენტ-კურსისტკების ბინების ჩხრეკას. ეჭვით დაპატიმრებულია რამოდენიმე სტუდენტი და კურსისტი ქალი.

— იანვრის დასაწყისს დონის-როსტოვს ეწვივნენ სახელმწიფო სათათბიროს წევრები: აჯემოვი და შინგარიოვი. დეპუტატებმა თანამედროვე ომზე ლექციები წაიკითხეს საქველმოქმედო მიზნით.

**თელავი.**

შუამთის მონასტრის მახლობლად იპოვეს უცნობ კაცის გვამი, რომელსაც თავში ტყვია აქვს მოხვედრილი და მუცელში ხანჯლით არის დაჭრილი. ეტყობა, გასძალიანებია მკვლელებს, რადგან ხელში ამოღებული ხანჯალი შერჩენია. აქ ჩამოიტანეს მის ვინაობის გასაგებათ, ბევრმა ნახა მოკლული, მაგრამ მცნობი არავინ აღმოჩნდა.

— სოფ. ვანთასა და ბუშატ შუა, ერთ-ერთ საცალფეხო ბილიკზე იპოვეს გვამი მოკლულ კაცისა, რომელიც აღმოჩნდა ვანთის მცხოვრები გლეხი კირვალიძე.

— კახეთის კავშირმა მიიღო 1 ვაგონი ხორბალი.

**მოსკოვი.**

მოსკოვის ქართველობამ დიდის ზეიმით იდღესასწაულა ქართველთა განმანათლებელის წმ. ნინოს დღეობა. დილით ქართველთა სახლში პარაკლისი გადაიხადეს, დაესწრნენ: თ-დი ა. ი. სუმბათაშვილი, ექიმი მ. ს. ზანდუკელი, მთელი შემადგენლობა „ქართველთა საზოგადოების“ გამგეობისა, მრავალი ქართველობა და რუსები, საღამოს სასინოდო სასწავლებლის დარბაზში გაუმართეს დიდი ქართული სალიტერატურო საღამო, რომელზედაც მგოსანმა კ. ბალმონტმა ლექცია წაიკითხა შემდეგ თემაზე: „შოთა რუსთაველი და სხვა მსოფლიო გენიოსები, როგორც რაინდნი სიყვარულისა“, აგრეთვე წაიკითხა რამოდენიმე თავი თავის თარგმანისა „ვეფხის ტყაოსნიდან“. მოსკოვის გაზეთ „უტრო როსიის“ იმავ დღის №-ში მოთავსებულია ფრიად საინტერესო წერილი მგოსან ბალმონტისა შემდეგის სათაურით: „სამკალი წმიდა ნინოსი“.

**თემირ-ხანშურა**

დაიწვა სკლასიკო გიმნაზია. ცეცხლმა იმსხვერპლა საქმის ქაღალდები გიმნაზიისა და რამდენიმე ათასი მანეთი ფულად.

**ჯავა** (გორ. მაზ.)

ცეცხლი წაეკიდა აქაურ ღვთისმშობლის ეკკლესიას. დაიწვა საკურთხეველი და საეკლესიო ნივთები.

**სოხუმი.**

ქალაქის მოურავი ნ. თავდგირიძე დეპეშით შეეკითხა საკურორტო კრების საორგანიზაციო ბიუროს—ხომ იქნება სოხუმს დათმობილი გამოფენაზე ცალკე ოთახი გამოსაგზავნ ექსპონატებისათვისო.

**სუფსა**

აქაური მემამულე თ-დი ტელემაკ გურიელი სუფსის საზოგადოებასა სწირავს სახლს, რომელშიაც ამ ჟამად უმაღლესი პირველდაწყ. სასწავლებელია მოთავსებული, და აგრეთვე მიწასაც, სადაც ეს შენობაა.

## პატარა ფელეტონი

### კარგი ცოლი

(ს. ფლავში (გორის მაზრ.) ექიატათ ნათქვამი სამსონ კეპაშვილისაგან, (75 წლისა, წერა-კითხვის უცოდინარი)

ერთ სოფელში ძალიან ღარიბად, მაგრამ პატიოსნად სცხოვრებდნენ სამნი ძმანი. თუმცა ძალიან უჭირდათ, მაგრამ ღვთის მავედრებელნი, მლოცველნი მუდმივ იყვნენ. საცოლეები იყვნენ, მაგრამ სიღარიბისა და ნაკლებულობის გამო არ ირთამდნენ. ერთხელ ღმერთმა ილია წინასწარმეტყველს უბრძანა: ამა და ამ ალაგას სამნი ძმანი რომ ეგრე მევედრებიან, შემომლაღადებენ, რა უფრო უნდათ გულით, გამიგე, რომ ვუწყალობოვო.

ჩამოვიდა ზეციდან ილია, უბრალო კაცის სახე მიიღო და ჩამოიარა იმ სოფელში. შეხვდენ ძმები, მიიპატიჟეს თავიანთ სახლში, როგორც მგზავრი ვინმე, მიართვეს დასანაყრებელი, რაც ებადათ, და დასვენება სთხოვეს.

პურის ჭამის დროს ილია წინასწარმეტყველმა პირდაპირ გამოუცხადა, ვინც იყო ის და უთხრა: ღმერთმა შეისმინა თქვენი გულწრფელი ლოცვა-ვედრება და სთხოვეთ, ვისაც რა გსურთო, მოგანიჭებსო. უფროსმა ძმამ მოახსენა: შე დალოცვილო, ჩვენს გარემოებას ხომ ხედავთ, ამ სიღატაკეში გახლავართ, კარგი იქნება, ბლომათ ოქრო და ვერცხლი მქონდესო. წინასწარმეტყველი დაჰპირდა,—მოგეცემაო. ახლა შუათანა ძმასა ჰკითხა: შენ რაღას ისურვებო? მოახსენა: მამული ჩვენ არ გაგვაჩნია და საქონელი, რომ ვიწალმართო და ისე ვიცხოვროვო. იმასაც უბრძანა: ყველაფერი გექნება დღეიდგანაო.

ჯერი მესამე ძმაზე მიდგა. როდესაც მესამესაც დაეკითხა, იმან, ჩაფიქრების შემდეგ, სამის დღის ვადა სთხოვა მოხსენებისა. წინასწარმეტყველი დასთანხმდა, ადგა და წავიდა.

ამ უმცროს ძმას გაგონილი ჰქონდა, რომ ერთ კვირის სავალზე ერთი ფრიად გამოჩენილის ჭკუის პატრონი და მეცნიერი კაცი სცხოვრობს. იფიქრა, იმას დავეკითხები, რასაც მირჩევს, მეც იმასა ვსთხოვ უფალსო. დაუყონებლივ გაუდგა გზასა, ერთ დღე და ღამეში მანძილი გაიარა. იკითხა. მიასწავლეს. შეხედა—ერთი დიდი სამსართულიანი სახლი სდგას. ქვემო სართულის აივანზე გამოსულა ღრმად დაბერებული თეთრ-წვერა კაცი. ბიჭმა იფიქრა, ალბად ეს უნდა იყოს ის ნაქები ბრძენი კაციო. მივიდა მოკრძალებით და შეეკითხა: სადა ბრძანდება სახელ-განთქმულიო. მოხუცებულმა უპასუხა, ის ჩემი უფროსი ძმაა და მაღლა სცხოვრობსო. როდესაც შუა სართულზე ავიდა, იქიდგან გამოვიდა ნახევრათ გათეთრებული, კაი ჯავარზე მდგარი კაცი. კითხვის შემდეგ იმანაც უპასუხა: ის ჩემი უფროსი ძმააო, და მესამე სართულში მიასწავლა. იქ რომ ავიდა, ერთი მანდილოსანი დახვდა. იმან კი, კითხვის შემდეგ უთხრა: ის ჩემი ქმარია, მაგრამ ეხლახან ჩაეძინა და ვერ გავაღვიძებო. ბიჭმა უამბო ყველაფერი თავისი გასაჭირი საქმე, შეეხვეწა, თავი შეაბრალა,—არ დამიგვიანდეს [illegible]. რა გაიგო მანდილოსანმა [illegible] ამბავი, ჩაიცვა ქოშები და ქმრის ოთახისაკენ აივანზე აიარ-ჩამოიარა. გამოეღვიძა ამ დროს ბრძენს კაცსა, წამოდგა და დაიძახა; რა არის, რა ამბავიაო? ცოლმაც ყველაფერი მოკრძალებით გადასცა, სთხოვა ის კაცი ენახა. დაუძახეს; შევიდა, ნახა სრულიად ჯანსაღი, შავ წვერ-ულვაშა კაცი. მოუყვა თავიდგან, დაწვრილებით უამბო, ბოლოს რაც სათხოვარი ჰქონდა, ისიც თან დაატანა. ბრძენმა კაცმა, რომ მოუსმინა, წარმოსთქვა: ბედნიერი კაცი ყოფილხარ, რადგან აქამდის მოსულხარ. ხომ ნახე ქვემო სართულში მთლათ გაჭაღარავებული კაცი, ის ჩემი უმცროსი ძმაა, ძალიან კაპასი და აშარი ცოლი შეხვდა; ის ნახევრად გაჭაღარავებულიც ხომ შემოგეყარა,—ის ჩემი მომდევნოა, იმის ცოლი პირველზე ნაკლებ ანჩხლი ქალია; მე კი ისეთი მხნე, დარბაისელი და ჭკვიანი შემხვდა, რომ დღევანდლამდის მაგისაგან უსიამოვნობა არა მინახავს-რა, ამისათვის სთხოვე უფალსა, კარგი ცოლი მოგცესო. მოითხოვა სარკე, ჩაიხედა და მიუთითა: შეხე, უდროოთ გალევიძებით ერთი ბეწვი თეთრი გამომრევია,—დაასრულა ბრძენმა. ბიჭმა დიდი მადლობა გადაუხადა დარიგებისათვის და მოჰკურცხლა შინისაკენ.

საღამო ჟამი იყო მესამე დღისა, როდესაც ისევ მგზავრის სახით წინ შემოეყარა ილია წინასწარმეტყველი, მოახსენა თავისი თხოვნა და სანატრელი. წინასწარმეტყველმა უბძანა: შენ წადი ამა და ამ სოფელში, იმ სოფლის გარეთ ეკლესია სდგას. აქ მოვლენ ნეფე-დედოფალი და როდესაც მღვდლის წინ დადგნენ, ნეფეს შემოუტიე,—ვინ მოგცა ნება ჩემს დანიშნულზე ჯვარი დაიწეროთქო. მაშინ ის ჩამოდგება და შენ დაიწერე ქალზე ჯვარი,—ის იქნება, რასაც ითხოვო.

მგზავრი გაბრუნდა, ბიჭი იმ სოფლისაკენ გაეშურა. მივიდა თუ არა ნიშნეულად იმ საყდარში, მართლაც მოადგნენ ნეფიაანი თავის მაყრებით. ბიჭი სწორეთ ისე მოიქცა, როგორც დაარიგა ილიამ. აქ დაიწერა ჯვარი, ჯერ სიმამრისას გაატარა რამოდენიმე ხანი, შემდეგ გამოემშვიდობა მოყვრებს და წამოიყვანა ცოლი. გზაში თავისი სიღარიბე და ძმების სიმდიდრე გააგებინა ცოლსა. ცოლმა თავის მხრივ სთხოვა ძმებთან უსიამოვნობას მორიდებიყო და არც იმათთან ჩამომხტარიყო.

დაიწყეს ამათ ცხოვრება თავიანთ ქოხში ძალიან ტკბილათ და შეწყობით. გაუჩნდათ ვაჟი შვილი, ბავშვი ავად გაუხდათ და კიდეც გარდაეცვალათ. დაასვენეს ბალიშზე ბავშვი და შეექმნათ მწუხარება. ამ დროს შემოვიდა ქოხში იგივე წინასწარმეტყველი. მათის დაღონების მიზეზი რომ გაიგო, უთხრა: ბავშვსა სძინავს, თქვენ კი მკვდარი გგონიათ. წამოაყენა თავის ხელით ბალიშიდგან ყმაწვილი და ისიც სრულიად საღ სალამათი კი გახდა. დედ-მამა სიხარულით ცას დაეწივნენ ღვთის მიერ უზომო წყალობითა. წინასწარმეტყველმა კი მიირთვა პური და მხიარულად გამოემშვიდობა.

გ. პ.

---

ბევრის წვალების შემდეგ იპოვნა ქაჯეთის ციხეში შემწყვდეული, ტარიელისა და მის მეგობრის ფრიდონის დახმარებით გამოიხსნა, მოიყვანა ფრიდონისას, აქ დააქორწინა, მერე იწვია თავისას, თვითონაც ჯვარი დაიწერა თინათინზე, ალხინა ქორწილში ტარიელი, ნესტანი და ფრიდონი, მერე 80.000 მეომრით წაიყვანა, ტახტზე დასო და თვითონ დაბრუნდა.

ასეთია მოკლედ ვეფხის-ტყაოსნის მოთხრობის დედა-აზრი.

თამარმა დაიპყრა დვინი, ანისი, არზერუმი, შარვანი, და სხ., თვით ბაღდადიც ჰყოო გასაჩენალი, ე. ი. მოხარკე (ჩახრ. 79), დაამარცხაო სულთანი ბობქარი (ბარკიარაკი), ათაბაგი, ხვარამზშა (ჩახრ. 74, 101) და სხ. შარვანის ტახტზე მოამაგრა თავის მომხრე, ტრაპიზონს გაამეფა თავის ნათესავი კომნენი და დვინსა ან სადმე სხვაგან მოამაგრებდა ტარიელსაც, რომელიც, ძალიან შესაძლებელია, ყოფილიყოს უკანასკნელი სელჩუკიანი სულტანი ტოღრილი (მოჰკლეს 1194 წელს).

ჰხამს და უპრიანია აქ ორიოდე სიტყვა ვთქვათ კიდევ ვეფხის ტყაოსნის წინასიტყვაობის განცხადების შესახებაც:

რუსთველმან გავლექსე „აქამდის ამბად ნათქვამი, აწ მარგალიტი წყობილი“ (ტ. 7)...

„ესე ამბავი სპარსული, ქართულად ნათარგმანები, ვით მარგალიტი ობოლი, ხელით-ხელ საგოგმანები, ვპოე და ლექსად გარდავთქვი“-ო (ტ. 16).

ეს სიტყვები შეეხება არა მთელს ვეფხის-ტყაოსანს, არამედ მის ნაწილს (ტაეპები 300—637), საცა **ტარიელი** ინდოეთისა, ხვარაზმშაებისა, თავის და ნესტანდარეჯანის **ამბავს მოუთხრობს** ავთანდილს.

ასეთი ჩვენი მოსაზრება მტკიცდება იმითაც, რომ ვეფხის-ტყაოსნის ნუსხების (წ. კ. № 4758, № 3077 და სხ.) სათაურშივე აღნიშნულია: „ტარიელს და ნესტანდარეჯანს ვეფხის-ტყაოსნობით უხმობენო“. ამის სამშობლოში არ სწამდათო „სამება ერთარსულად (წ. კ. ს. № 1758, დასაწყისში).

ეს ამბავი ანუ ისტორია შესახებ „ინდოეთის“ სულთნის ფარსადანისა, მის დამოკიდებულობისა ხატაეთთან, ხვარაზმეთთან, ტარიელის მიერ ხვარაზმშას შვილის მოკვლისა ალბად დაწერილი იყო სპარსულად და მერე ქართულად თარგმნილი და ამით ისარგებლა რუსთველმა, რომ შეევსო თვისი პირადი გაგონილ-ნანახი და შეექმნა მთლიანი და უკვდავი ხელითხელ საგოგმანებელი თხზულება.

ხოლო 32—299 ტაეპებისთვის, ჩვენის ფიქრით, შოთას მიუძღვნია წინასიტყვაობად 3—5 ტაეპები და საერთოდ კი 25—26 ტაეპები, რომლებშიაც იგი თამარ-თინათინს აცხადებს თავის თხზულების უმთავრეს მოსაქმედ, როგორიც იგი მართლაც იყო ქართლის ცხოვრებითაც და შავთელითა და ჩახრუხაძით.

რაიც შეეხება თვით შოთას გვარს ან მის იერუსალიმში წასვლის მიზეზს, ჩვენ შეგვიძლიან წარმოვადგინოთ ასეთი მოსაზრება-ცნობანი.

საეკლესიო მუზეუმში არის გუჯარი (№ 2), რომლითაც „მანდატურთუხუცესი და ამირსპასალარი ჭიაბერი „ღვთისა სწორ მეფეთ მეფის თამარის ბრძანებითა და კითხვით“ შიომღვიმეს სწირავს თავის ჟინოვნის ქონებას. ამ გუჯარს ამტკიცებენ: მეფე (თამარი!), თვით ჭიაბერი, მერე კათალიკოზი თეოდორე, შემდეგ შოთაი, ავაგ ორბელი და იოანე ურბელი.

„შოთაი“ ამტკიცებს ამ სიტყვებით: „ქ. მე შოთაი ჩემსა ჟინოვნის ქონებასაც შიგა ამას ვამტკიცებ ვითა **ამას შიგა სწერია**“.

ვფიქრობთ, თუ ეს შოთაი მანდატურთუხუცესის ჭიაბრის შვილი და მემკვიდრე არ ყოფილიყო, ვერ იტყოდა „ვითა ამას შიგა სწერია“-ო, ვინაითგან გუჯარში სწერია მხოლოდ ჭიაბერის შეწირულობა.

ძალიან შესაძლებელია, ჭიაბერი ყოფილიყოს არა მესხელი, არამედ გვარით მესხი, მსგავსად იმისა, ვით დღეს არიან ქუთათური აზნაური მესხები და აქეთური მესხიშვილები, ხოლო შოთასაც **რუსთველობა** გაჰკვარებოდეს იმიტომ, რომ სასახლე და ქონება ჟინოვნისა ჰქონდა სათავეზე იმ რუ-არხისა, რომელიც ჟინოვნის მხრიდამ თამარ მეფეს გამოეყვანა საგურამოს ველის მოსარწყავად, რომლის ფსკერ-რუსხმული დღესაც კარგად მოჩანს და რომელიც ახლა იწოდება „თამარის არხად“. შესანიშნავია, რომ მიქელის წარწერაც მას იხსენიებს ჭიაბრის ძედ!

რაიც შეეხება რუსთველის იერუსალიმში წასვლის ამბავს, ამის მიზეზად შეიძლება ჩავთვალოთ ლაშა გიორგის უგვანო საქციელი.

ამ ლაშამ († 1221 წელს) დედა რომ მოუკვდა, სამეფო საჭე ხელში იგდო, და მალე დროში მოიძულა და განიშორა „სანატრელისა დედოფლისა და დედისა წესთა მასწავლელნი, ხოლო შეიყვარნა თანამოჰასაკენი, „მოსმურობათა და დედათა უწესოთა თანა-აღრევითა“, ასე რომ „ოდესმე მძმელი ფრიადისა ღვინისა ტფილისს მყოფი წარიყვანეს რაინდთა თანა, რათა მუნ განიძღონ სიბილწე თვისი, ხოლო რაინდნი, მეფისა მისვლისა არ მგონებელნი და ღვინით უცნობო-ქმნილნი, ზედა მიეტევნეს და ძლიერად გვემეს, ვიდრემე ერთი თვალი—მარჯვენე ხედვისაგან დააკლეს“.

მეფის ასეთი ყოფა-ვითარება ძველ მოხელეებმა და თავადებმა ვერ შეიფერეს, ამხილეს, მაგრამ სწორე გზაზე ვერ გამოაბრუნეს, ამიტომ **კათალიკოზმა და თავადებმა** „არღა ინებეს მასთანა სამარადისო ყოფა, არამედ **განეშორნეს** და თვის-თვისად იყოფოდეს“. ხოლო „**უგუნურნი და უწესონი** კაცნი, მეფისა კარსა ზედა არა ყოფასა ღირსნი და აწ კარსა ზედა მყოფნი,“ დარჩნენ მეფესთან.

ალბად მეფის მხილებელთა შორის ერია თამარის „მოლარეთ-ხუცესი“ შოთაც, და რახან ლაშა ესდენ დაეცა, აღარ მოინდომა აქ დარჩენა, წავიდა იერუსალიმს და იქ გარდაიცვალა ლაშას მეფობაშივე, ეგების 1219 წელს, როგორც იუწყება მიქელის თარიღიც.

აქ ვათავებთ ჩვენს განხილვას. პირად ჩვენთვის დიდი ხნითგანვე სარწმუნოა შემდეგი დადგენილებანი:

ა. ვეფხის ტყაოსანი, ვით თამარ მეფის ხოტბები შავთელისა და ჩახრუხაძისა, აგებულია ისტორიულ ნასკვზე და დაწერილია სადიდებლად თამარ(-თინათინისა), რომელიც მახლობელ აღმოსავლეთში ითვლებოდა უძლიერეს ხელმწიფედ და ვინმე ძლიერის მიერ სხვა ერის დაპყრობისა და დაჩაგვრის არ მომთმენად.

ბ. ვეფხის-ტყაოსნის ამბავი **ხვარაზმშიების** დროისაა, მე-XII საუკუნის მეორე ნახევრისა, დაახლოვებით, 1189—1194 წლ.

დ. „არაბეთი“ საქრისტიანოა, საქართველო, „ინდოეთი“ სელჩუკიანთ სამაჰმადიანო.

ე. შოთა რუსთაველი თანამედროვეა თამარ-დავითისა და იმ ამბებისა, რომელთაც გადმოგვცემს თვითონვე როგორც მეფეთა და გმირთა მახლობელი კაცი.

ვ. აღმოსავლეთურ-მაჰმადიანური ელემენტი ვეფხის-ტყაოსანში ნაშთია 400-ის წლის (721—1121) არაბების მძლავრობისა საქართველოში და ადრითგანვე ბუნთურქებისა და სპარსელებისა და მერე სელჩუკიანთა, აგრეთვე იმ აღმოსავლეთურ მგოსნებისა, რომელნიც გამობრწყინდნენ სელჩუკიანთ მფლობელების კარს და რომელთაგან ზოგი თანამედროვე იყო რუსთაველისა.

—

ასრეა ეს ყველა ხელმისაწვდომ საბუთებისა, ცნობებისა და თვით სულ მცირე საგუმანო ნიშნების მიხედვით, ასრე იყო მამა-პაპათა მოღმართ. თამარის და შოთას ეპოქა იყო ერთად ერთი, მხოლოდ მხოლო. ასრეთ აზრს მტკიცედ ადგა პატივც. ნ. მარიც და სამართლიანად უწყრებოდა ყველას, თუ ვინმე გაბედავდა შოთას გადადებას თამარის ეპოქიდამ. წინააღმდეგ ამ სიაშკარავისა, წინააღმდეგ თვით „ძველის მარრისა“ ბაქოდგან ახალი ხაბარი გვეხარა—შოთას მე-XIV—XV საუკუნეობა, თუ ეს ხაბარი სწორეთ გადმოცემულია. ჩვენ ჩვენი რწმენა უკვე გამოვთქვით. ახლა „ახალმა მარრმა“ უნდა თავის საბუთებით შეგვაჯეროს, რომ ჩვენი და „ძველის მარრის“ რწმენა ქარქვეტად არ ღირებულა, და რომ ახლა მის ახალი აღსარება უნდა ვიწამოთ. ჩვენ აქაც არ ავჩქარდებით. მოუთმენთ მარრის ახალ სახარებას და მოწიწებით მივიღებთ მას, თუ აღმოჩნდა ნამდვილ მეცნიერულ საქმედ და არა უბრალო ისტორიულ ფილოლოგიურ ვარჯიშობად.

მ. ჯანაშვილი.

# როდემდის?

(ჩვენი ეროვნული შეუგნებლობა)

წარსულ ზაფხულში ერთ კრებაზე ბ. დადიანმა (სახელი არ მახსოვს) შემდეგი აზრი გამოსთქვა: თუ ასი წლის წინეთ ქართველები დაქსაქსული ვიყავით, დღეს გაერთიანებული ვართო. აქ უნდა იგულისხმებოდეს ის აზრი, რომ ქართველებს შეგნებული გვაქვს ჩვენის ეროვნულ ორგანიზმის მთლიანობა, მისი ინტერესები და ვისწრაფვით, რომ ეს ინტერესები განვახორციელოთ. ამაზე უკეთესს ქართვლის ყური რას გაიგონებს: თუ მონამ შეიგნო, რომ მონობა მონობაა და ამ მონობის ბორკილების მტვრევას შეუდგა მთელის თვისის ძალ-ღონით,—ეს მშვენიერება რამ არის, მხოლოდ უალრესად სანეტარო მისთვის, ვისაც ბედის უკუღმართობამ ბორკილი გაუყარა.

სამწუხაროდ, უნდა ალვიაროთ, რომ ეს სანატრული ჟამი ისტორიულ ერთა შორის მარტო ჩვენ ქართველებს არ დაგვდგომია—ჩვენის განათლებულ საზოგადოების ერთ ნაწილის უვიცობის და უკიდურეს ქინიანობის გამო.

თუმცა სიცოცხლის პატარ-პატარა ნიშნები გვეტყობა, მაგრამ აქედან კიდე იმის თქმა არ შეიძლება, რომ ქართველობას სწორედ ჰქონდეს შეგნებული ეროვნული ინტერესები და ამ შეგნებიდან გამომდინარე პრაქტიკულ გზას ადგეს. აი, მაგალითად, როდესაც ერობის საქმეში მტრებს ორი მხრიდან მოაქვთ იერიშები, არ დაგიდევენ არც ლოლიკას და არც მორალურ მოსაზრებებს და ლამობენ გასთელონ ჩვენი უფლება, გაისმის მთლიან ქართველობის მქუხარე ხმა, მტერი არცხდება, მაგრამ მაგარი ის გახლავთ, რომ სახელმწიფო სათათბიროში, სადაც საკითხი უნდა გადაწყდეს, ქართველი დეპუტატები ქართველობის ხმას არ უერთდებიან: ზოგს პლეხანოვის კარაბადინი უშლის ხელს და ზოგს კიდევ (ტრუდოვიკების) შრომის ჯგუფის პროგრამმა. რითიც უნდა გათავდეს ერობის საქმე ჩვენში, ზემორე აღნიშნული მოვლენანი მისი მაჩვენებელია, რომ „ერთობა ჩვენთვის ტახტი, მტრებისთვის სახრჩობელა“ კიდე სრულად არ არსებობს ქართველებში.

აკაკის იუბილეი ისეთის ზეიმით გადავიხადეთ, რომ მათი შემხედვარე ვერ იტყოდა, რომ ჩვენში ეროვნული იდეალისადმი მისწრაფება ნაკლები ყოფილიყოს: თვით მცხოვან მგოსანს, იმ ჩვენ დიდ მოჭირნახულეს, ვათქმევინეთ: „ქართველებმა ეროვნულად გაიღვიძეს“-ო. მხოლოდ ეს იყო მომენტი, როცა ბუნებრივმა სამშობლოს სიყვარულმა ამოხეთქა გულის სიღრმიდან. ამისთანა მომენტები არიან ხოლმე ჩვენ ცხოვრებაში, მაგრამ გაივლის ცოტა დრო, და რაღაც დოგმატები დააწვება ლოდივით კეთილშობილ გრძნობას, და ზურგს ვაქცევთ (უკეთ რომ ვთქვათ, ნაწილი ჩვენი საზოგადოებისა ზურგს აქცევს) იმ კანდელს, რომელმაც მრავალ საუკუნოების განმავლობაში შეგვარჩინა სიცოცხლე: ზოგი ასე წავალთ, ზოგი ისე. ამას წინეთ გაზეთ „საქართველოში“ იყო ბ. ი. გომართელის წერილი, რომელშიაც იგი ჩვენს საზოგადოებას ემუდარება გაერთიანდეს ეროვნულ საკითხში, რაც აუცილებელ საჭიროებას შეადგენს, რადგან ამ საკითხის სხვა და სხვა ნაირად გაგება ყოვლად შეუწყნარებელია. აქედან ნათლად გამოდის, რომ ერთობა ჩვენში კიდე არ არის ამ საქმეში.

ეს უბედურება მით უფრო ღრმაა, რომ ჩვენში თუ ერთი რამეს აკეთებს, მეორე უთუოდ ხელს უშლის, არამც თუ ეხმარება.

როგორც მოგეხსენებათ, შვეიცარიის ქალაქ ლოზანაში, სადაც ჩაგრულ ერების წარმომადგენელნი შეიყარნენ, რათა როგორმე მალამო დაედოთ თავიანთ ეროვნულ ჭრილობებზე, საქართველოს წარმომადგენელიც იყო. ამ უკანასკნელმა, რა თქმა უნდა, თავის ერის ჭირ-ბოროტზე ილაპარაკა. ტანჯული ერის გულის სიღრმიდან ამოხეთქა სიმართლის ხმამ; ამ ხმამ მრავალ ერების რჩეულთა კრებაზე ძლიერი შთაბეჭდილება მოახდინა: ყველა იქ მყოფმა ხანგრძლივის ტაშის ცემით მხურვალე თანაგრძნობა გამოუცხადა ქართველი ერის ტკივილებს.

ნათქვამია: „ხმა ღვთისა და ხმა ერისაო“. და აქ ხომ იცი, ოცდა ორ ერის ხმა გაისმოდა: ვის ეგონა, თუ ამის წინააღმდეგ ვინმე (და ისიც ჩაგრულის ერის შვილი) გაილაშქრებდა?! მაგრამ ჩვენი დასელები, რილას დასელები იქნებოდნენ, თუ იქ ჩვენი მონობის გასამტკიცებლად თავის მოციქულს არ იყოლიებდნენ. ჩვენდა სამარცხვინოდ, ჩვენდა თავის მოსაჭრელად, გამოვიდა ბ. თებზაია, წასწვდა ორატორს პირში და პროტესტი გამოუცხადა: აქაო და პლეხანოვის კარაბადინში საქართველოს თავისუფლებაზე არა სწერია რაო, ამიტომ ჩვენ ვერ დავეთანხმებითო, ჩვენ რუსეთის პროგრესიულ და დემოკრატიულ ელემენტებთან ერთად სიარული გვაქვს გადაწყვეტილი და მათთან ერთად ბრძოლაში იმდენ კაი რამეს მოველით, რომ ეგ რად გვინდაო.

ერთი ვკითხოთ ბ. თებზაიას, რომელი პროგრესიული ელემენტების იმედი უნდა გვქონდეს; იცის თუ არა მან, რომ მათმა სახელგანთქმულმა დეპუტატმა ჩხენკელმა მაგ პროგრესიულ ელემენტების წარმომადგენელ პროგრესიულ ბლოკს „ლეში“ უწოდა, რომელსაც გახრწნისაგან მხოლოდ პეტროგრადის დიდი ყინვები იცავს და რომელიც არა მთავრობის, არამედ ხალხის წინააღმდეგ არსებობსო. რა ხეირს უნდა მოველოდეთ ჩვენ ამ „ლეშისაგან?“ კიდეც, რომ რამის გაკეთება შეეძლოს მას, ძალიან სწადია საქართველოს ეროვნულ იდეალების განხორციელება? ნუ თუ არ ვიცით, რომ ეს მათ არაფრათ ეპიტნავებათ.

რაც შეეხება რუსეთის პროლეტარიატის წარმომადგენლებს, ვინ არ იცის, რომ ისინი ეროვნულ საკითხში მეტის მეტათ კოჭლობენ: ვერ შეუგნიათ ის ანბანური ჭეშმარიტება, რომ ჩვენ, ქართველებს, სრული უფლება გვაქ დამოუკიდებელ ეროვნულ ცხოვრებით ვიცხოვროთ და კაცებათ ვიხსენიებოდეთ განათლებულ ქვეყნებში. ეს ერთი, მეორე. სოციალ-დემოკრატების ხმა ყოველთვის რჩება „ხმად მღაღადებლისად უდაბნოსა შინა“: მათ, ძლიერ ცოტა ძალების გამო, ანგარიშს არავინ არ უწევს და თუ ძალიან ახმაურდენ, გარეთ გამორეკავენ სწორეთ ის პროგრესიული ელემენტები, რომლებზედაც თებზაია ასეთ დიდ იმედებს ამყარებს.

ვინ რა ანგარიში უნდა გაუწიოს სოციალ-დემოკრატიას: იგი მთელ თავის სიცოცხლეში გაიძახის: „პროლეტარებო მთელის ქვეყნისა, შეერდითო“! მხოლოთ დღემდი ისე მჭიდროთ შეერთებულან, რომ ერთი ქვეყნის პროლეტარიატს ვერ ნახავ, რომ თავის მოძმეს, მეორე ქვეყნის პროლეტარიატს, გულს არ უგმირავდეს, სამშობლოს ინტერესებით გატაცებული. სოციალ-დემოკრატები კი ჩაგვჩიჩინებენ: მუშას, პროლეტარს სამშობლო არ აქვსო. ეს პროლეტარების სისხლის ზღვა რათ იღვრება მაშ, თუ სამშობლო არ აქვთ?! რად არ რცხვენიათ ამ ვაჟბატონებს, ასე აშკარა ტყუილს, რომ ამბობენ! გერმანეთის სოციალ-დემოკრატების ბელადი შეიდემანი აცხადებს, რომ იგი არსებითად ეთანხმება მთავრობის საგარეო პოლიტიკას (რუსეთის შესახებ); ფრანგები და სხვა სოციალისტები ხომ თავგანწირვით იცავენ სამშობლოს. ეს ომიც რომ არ ყოფილიყო, რომელი ლოლიკის და სამართლიანობის მიმდევარი კაცი იტყოდა, რომ ერთი ერი მეორეზე უნდა ბატონობდეს, სჩაგრავდეს მას! ეს არსად გაგონილა. მხოლოდ ჩვენი დასელები ჩვენ და მხოლოდ ჩვენ ჩაგვჩიჩინებენ, რომ მათს დიდ მოძღვარს, რუსს, პლეხანოვს, არ მოსწონს ჩვენი თავისუფლება და ამიტომ ჩვენ მისი მონა და მორჩილი უნდა ვიქმნეთ, სხვები კი ყველანი თავისუფლების ღირსნი არიანო. რა დავაშავეთ ჩვენ, ქართველებმა? არ გვქონია დამოუკიდებელი ცხოვრება წარსულში? ცუდათ გვიბრძოლია მისთვის?

დასელები ამბობენ, რომ მათ ჩვენი წასული სძულთ და აწმყო ეზიზღებათ. მაგრამ, უნდა ვიფიქროთ, რომ თავიანთი ძლევა-მოსილი წარსული საქართველოში არამც თუ არ სძულთ, ამპარტავნების საგნათაც აქვთ მიჩნეული. მერე ამ დასელების წარსულიდან არა სჩანს ქართველი ერის მაღალი ღირსება? გაუზომელ რუსეთში რომელ კუთხეს მიჩვენებთ, რომ ისე მამაცურათ შეენგრიოს ბიუროკრატიის ბჭენი როგორც ეს ჩვენმა ხალხმა მოიქმედა? რამ შეუშალა სხვას ხელი? მარქსმა და ენგელსმა დაუმალეს მათ თავიანთი მოძღვრება? რითი აიხსნება, რომ ვებერთელა რუსეთის პროლეტარიატს კონსტიტუციის გამოცხადებიდან დღემდე განუწყვეტლივ პაწაწინა საქართველოს შვილები ბელადობენ, ისინი უძღვიან წინ, თუმცა პროლეტარი ჩვენში ძლიან ნაკლებათ შეგხვდებათ, თითქმის სულ არ არის. აქედან ცხადზე უცხადესია, რომ დემოკრატიულ და სოციალურ იდეების შეთვისების შნო ქართველებს გაცილებით მეტი გვქონია სხვებთან შედარებით, ჩვენ შეგნებით უფრო დაწინაურებულნი ვყოფილვართ.

ეხლა ეს მიბრძანეთ—ეს დაწინაურებული ერი უკან ჩამორჩენილს რად უნდა დაუმონავოთ? სხვა რომ არა იყოს რა, ეს ხომ რეგრესი იქნება და არა პროგრესი. თავრიდის სასახლეში ქართველის ხმა ჰქუხს რუსეთში მოქალაქობრივის უფლებების მოსაპოვებლათ, და ამავე რუსეთში, რომ ქართულ ენას სასამართლოდან და ადმინისტრაციიდან განდევნილს, სასწავლებლებიდან გაძევებულს, უფლება ახდილს ძაღლის ენას უწოდებენ ის პროგრესიული ელემენტებიც კი, რომლებზედაც ჩვენი დასელები ეგოდენ იმედს ამყარებენ, ამაზე ქართველის ხმა სდუმს თავრიდის სასახლეში.

ეს გახლავსთ ჩვენი საერთო ეროვნული დიდი ჭრილობა, და ჩვენ დღემდი ერთ გზას ვერ დავდგომივართ, რომ ამ ჭრილობას როგორმე მალამო დავსდოთ და გავკურნოთ.

ამისათვის, თუმცა გვესმა ბ. დადიანის ფრიად სასიამოვნო ხმა გაერთიანებაზე, მაგრამ, სამწუხაროთ, უნდა გამოვტყდეთ, რომ ჯერ არ ვართ გაერთიანებული, და დავსვათ კითხვა:

როდემდის უნდა გაგრძელდეს ეს საოცარი უმეცრება ჩვენში?

**გლეხი.**

# სხვებს ტყუილად ვემდურით

(ჩვენის ეკლესიის გარშემო)

„რაც მოგივა დავითაო—ყველა შენი თავითა“-ო. ჩვენი ბრალია ყველაფერი და ციხე მუდამ შიგნიდან ტყდება. ავიღოთ მაგალითად ავტოკეფალიის საკითხი: 1906 წ. რომ შეიკრიბა თბილისში ქართველი სამღვდელოება და ქართველი მღვდელმთავრები ერთხმად დაადგინეს: ავტოკეფალია მოგვეცეს და დაგვიბრუნდეს უკანონოდ წართმეული უფლება ჩვენის ეკლესიისაო და ამაზედ პეტიციაც გაგზავნეს სინოდში. განა ჩვენივე მამები არ იყვნენ, ამავე კრებაზედ მყოფნი, უფრო მეტს რომ ყვიროდნენ ავტოკეფალიის შესახებ და ამავე დროს კი ცალკე ქაღალდი აფრინეს სინოდში და სწერდნენ: თქვენო უწმიდესობავ, რის ავტოკეფალია, ეს სულ რამდენისამე პირის საქმეა, არავისა სურს ავტოკეფალია, უიმისოდაც ძალიან კარგათ ვართ და ესევე ვიქნებითო. სინოდმაც ამით ისარგებლა და ვინც რამეს შეეკითხებოდნენ ავტოკეფალიის შესახებ, გადმოუდებდნენ ამ ქაღალდს და უჩვენებდნენ: აი რასა გვთხოვს თქვენი მოწინავე სამღვდელოებაო. ეს ქაღალდი დღესაც იქ ინახება და ვისაც ეინტერესება მუდამ შეუძლიან ნახვა და გაგება ვინაობისა იმ სულიერ მამათა, რომელთაც ქაღალდს ხელი მოაწერეს და გაგზავნეს სინოდში. ვინ იყვნენ ეს მამები? ისინი, ვინც თბილათ, ფუფუნებაში ცხოვრობდნენ და ავტოკეფალია მათ კარგს არას უქადდა პირადად.

დღეს რომ სოფლის სამღვდელოება გაჭირვებაშია, დარწმუნებული ვარ, ავტოკეფალია რომ გვქონდეს და ჩვენი კათოლიკოსი გვყავდეს, მიუცვიდებოდნენ და ტახტიდან ძირს ჩამოაგდებდნენ, იმიტომ რომ შინაურ მღვდელს შენდობა არ აქვს, მაგრამ დღეს ხმასაც არ იღებენ და რაღაცა ქაღალდი რო დასწერეს გასულ დეკემბრის სამღვდელოების კრებაზედ, ისიც ვერ გაგზავნეს სადაც ჯერ არს და უკ ნვე გადმოუგდეს. ან ვინ ამოიღებს ხმას: მოწინავე და ქალაქის სამღვდელოებას კარგი ჯამაგირები, მრევლიდან შემოსავალი, სასწავლებლებიდან ჯამაგირები, მუდამ ჩინი და ორდენები და მეტი რაღა უნდათ. სოფლის სამღვდელოება კიდევ მათ შესცქერის და ისინიც გაჩუმებულან და ხმას ვერ იღებენ.

ვიტყვი ქართული ენის შესახებაც: ერთმა მღვდელმა ეგზარხოსსა სთხოვა (რომელს, აღარ მახსოვს), ჩემი შვილები სასულიერო სასწავლებელში სწავლობენ და გთხოვთ ქართულ ენის გაკვეთილებისაგან გაანთავისუფლოთ, რადგან უჭირდებათ, ვერ სწავლობენ, დროს ჰკარგავენ ტყუილად და ან რაში გამოადგებათო. ეგზარხოსმაც დიდის სიამოვნებით მისწერა ზედამხედველს, ესა და ესენი გაანთავისუფლეთ ქართულ ენის გაკვეთილებისაგანო, და გაანთავისუფლეს. რას ნიშნამს ეს?!

მეორე ღვდელი ვიცი, რომელსაც ნახევარი მრევლი რუსი ჰყავს და ნახევარი ქართველი (მეგრელები). ხუცური კითხვა არ იცის, წირვა ლოცვას სულ სლავიანურათ ასრულებს და ვერც ერთ ასამაღლებელს ქართულად ვერ იტყვის. იყოველისავე წესებს: ანდერძს, პანაშვიდს, ნათლობას, ჯვრის წერას სულ სლავიანურად ასრულებს მეგრელებისთვის და რომ უთხრან: მამაო, არ გვეყურება რუსული და ქართულად შეასრულეო, უპასუხებს—შვილო, სულ ერთი არ არის, წესები კი შევასრულო და როგორც გინდა, იყვესო, ქართული წიგნები არა მაქვსო. მისმა შვილებმა პურის და წყალის სახელი არ იციან ქართულად. ან ეს რაღას ნიშნამს?!

ახლა საეკლესიო ბეჭდების რუსულათ შეცვლისა ვსთქვათ.

ერთ მონასტერს დაარსებიდანვე ჰქონდა ქართული ბეჭედი. ერთმა წინამძღვარმა მოიწადინა, რომ ქართული რუსულზედ შეეცვალა, მაგრამ აშკარად ვერ გაბედა მისი მოსპობა და ხაზინადარს უთხრა: რადგანაც მეც მჭირდება მუდამ ბეჭედი და აქ შენთვისაც საჭირო არისო, ამიტომ მე სხვა ბეჭედს გავაკეთებინებ და ვიქონიებო. მართლაც გააკეთებინა რუსული ბეჭედი და თავისთან ჰქონდა, ხოლო ქართული ხაზინადართან იყო. რამდენისამე ხნის შემდეგ მოკვდა ეს წინამძღვარი და დანიშნეს მეორე: ამ ახალმა წინამძღვარმა რომ ნახა ორი ბეჭედი, აურზაური ასტეხა, ეს „პოდლოგიაო“ და ხაზინადარს უჩივლა სასინოდო კანტორაში: ვინ მისცა მას ორი ბეჭედიო. კანტორამ პასუხი მოსთხოვა ხაზინადარს. ხაზინადარმაც უპასუხა წერილობით, რომ როდესაც მე აქ დამნიშნეს ხაზინადრად, ქართული ბეჭედი ჩამაბარესო და რუსული ბეჭდის კი ჰკითხეთ აწ განსვენებულს მამა . . . . . ვინ მისცაო,—მიუთითა გარდაცვლილ წინამძღვარზე, რომელმაც გააკეთებინა ეს ბეჭედი. ეს საჩივარი და გამოძიება იმით გათავდა მარტო, რომ ქართული ბეჭედი ჩამოართვა წინამძღვარმა ხაზინადარს და რუსული ბეჭედი დარჩა ხმარებაში დღესაც და ქართული ბეჭედი კი აღარ არის და რა უყვს, ალახმა უწყის. ან ეს რაღას ნიშნამს?!

ჰო და აი ამისთანა გამყიდველნი, გამცემელნი და ზნე-დაცემულნი, რომელნიც ჩვენთან კაკანებენ და კვერცხებს კი სხვაგან სდებენ, უნდა განიდევნონ საზოგადოებიდან, თითით საჩვენებელნი უნდა გავხადოთ იუდასავით და გამოვამზეუროთ საქვეყნოთ მათი საქციელი, რომ ღამურასავით დღისით თავი აღარ გამოეყოფოდეს. მაშინ სხვანი ველარ გაბედავენ. თუ არა და სხვებს ნულარ ვემდურით.

ამისთანები, ვინ იცის, რამდენია კიდევ სათქმელი, მაგრამ ჯერ ეს კმარა.

**ოსმალ-ქეშიში.**

# დაბა-სოფლები

**ხევსურეთი**. მეტად გაჭირვებულია ხევსურეთი, მეტად უპატრონოდ დარჩენილნი და ყურუგდებელნი ვართ. სადაა ღმერთი, სადაა სამართალი! გაგონილა ამდენი ყურუგდებლობაცა! ერთის მხრით ქისტები არ გვასვენებენ და გვტაცებენ ცხვარ-ძროხასა, მეორე მხრით მთავრობა იწვევს ხალხს ჯარში. ეს ლურჯ და წითელ ბილეთიანებიც რომ წავიდნენ, მაშინ ქისტები ხევსურეთს სულ აიკლებენ.

წარსულ ენკენისთვეში ხევსურებმა კაცები გაუგზავნეს გუბერნატორსა და სთხოვეს, ლურჯ ბილეთიანები მაინც დაგვიბრუნდესო. გუბერნატორიც დაჰპირებიყო: ლურჯ ბილეთიანებს ხევსურეთში მთებზე დარაჯებად ჩავაყენებთო. ჩვენ კ ამ პირობაზე ვართ დამდგარნი. მამასახლისი და ჩაფრები კი მუდამდღე გზავნიან ამ ლურჯ-ბილეთიანებს. თანაც თიანეთის ადმინისტრაცია ავრცელებს: ხევსურეთი უარზე არიო, სალდათს არ იძლევისო. არა, ბატონო და მწყალობელო, ხევსურეთი უარზე არ არის, მხოლოდ გუბერნატორის პასუხს ელიან: მართლაც გვეპატივება თუ არა.

ამ დღეებში ისევ ვგზავნით კაცებს თბილისში გუბერნატორთან საჩივლელად. მაზრის უფროსს გამოუცხადებია მამასახლისისათვის, გაზაფხულზე „ზკუციას“ ჩავაყენებ ხევსურეთსო. ნეტავი რა დააშავა საწყალმა ხევსურეთმა, რაზე უნდა ჩააყენონ „ზკუცია“? იმის მთხოვნელნი ვართ, ან ქისტები გადაასახლონ აქედან ან ჩვენ გადაგვასახლონ. მაშინ შემძლიზე გავალთ ჯარში. ჩვენ რო ჯარში გავალთ, ქისტები ჩვენს ცხოვრებას სულ აიკლებენ და მერე როდისღა ავინაზღაუროთ ჩვენი ზარალი?

მოგვხედონ, ბატონო, ჩვენ როდი ვართ მთავრობის ორგულნი. ერთი და ორი ყაჩაღი ყველგანაა. განა რუსეთში არ არის ყაჩაღობა. გამოიძიონ, ბატონო, ადგილობრივად, რა დღეში ვართ და თუ მართლა დასასჯელები ვართ, მაშინ ღა დაგვსაჯონ.

**მგელიკა არაბული.**

# წერილი რედ. მიმართ

ბ. რედაქტორო!

ნება მიბოძეთ თქვენის გაზეთის საშუალებით უღრმესი მადლობა გამოვუცხადო ექიმ ვ. ა. გაბისონიას, რომელმაც კეთილი ინება და თვის ხარჯზე უწამლა ორ ავადმყოფ ქართველ სტუდენტს. ვარშავის უნივერსიტეტის ქართველ სტუდენტობას ბ. გაბისონია მიაჩნია ქართველ სტუდენტობის ერთგულ მეგობრად, რომელიც მუდამ მზად არის ყოველგვარი დახმარება აღმოუჩინოს გაჭირვებულ ქართველ სტუდენტს.

ვარშავის უნივერსიტეტის ქართველი სტუდენტების მინდობილობით

**სტ. მ. ლვამიჩავა.**

რედაქტორ-გამომცემელი **სანდრო შანშიაშვილი**

## ამიერ-კავკასიის რკ. გზის მატარებლების მიმოსვლა

(დრო ნაჩვენებია თფილისის)

**თბილისიდან გადის:**

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| ბათუმისკენ | საფ. | № 3, | 11.03 | დილ. |
| „ | სამგზ. | № 9, | 10.33 | სალ. |
| ბორჯომისკენ | სამგზ. | № 19, | 3,20 | დღ. |
| „ | „ | № 17, | 8.27 | დილ. |
| გორისაკენ | სამგზ. | № 61, | 9.10 | დილ. |
| ბაქოსაკენ | ჩქარ. | № 6, | 11.13 | დილ. |
| „ | სამგზ. | № 8, | 3.54 | დღ. |
| „ | საფ. | № 4, | 9.28 | სალ. |
| ყარსისაკენ | სამგზ. | № 4-3, | 11.13 | სალ. |
| თელავისაკენ | | № 4, | 8 „ 58 „ | დილ. |

**თფილისში მოდის:**

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| ბათუმიდან | სამგზ. | № 10, | 9.52 | დილ. |
| „ | საფ. | № 4, | 8.38 | სალ. |
| ხაშ.-ბორჯ. | სამგზ. | № 20, | 7.43 | დილ. |
| „ | სამგზ. | № 18, | 10.12 | სალ. |
| გორიდან | სამგზ. | № 62, | 6.34 | სალ. |
| ბაქოდან | საფ. | № 3, | 10.08 | დილ. |
| „ | სამგზ. | № 7, | 4.12 | სალ. |
| „ | ჩქარ. | № 5, | 8.48 | სალ. |
| თელავიდან | | № 3, | 6 24 | სალ. |
| ყარს-ჯულფ. | საფ. | № 3***, | 8.10 | დილ. |


მიიღება ხელის მოწერა 1917 წლის
იუმორისტულ ჟურნალ
„ეშმაკის მათრახ“-ზე
ფასი მთელი წლით: 7 მან. ნახევარი წლით 4 მ. სამი თვით 2 მან. თვეში 70 კ. ვისაც უნდა ჟურნალი 1 იანვრიდან მიიღოს, ფული ეხლავე უნდა გამოგზავნოს შემდეგის მისამართით: თბილისი, ფოსტის ყუთი № 96, სილ. თავართქილაძეს. (უ.)

ქ. თბილისში დაარსდა
მელნის ქარხანა
„ალაროდია“
ამზადებს საუკეთესო საკანცელარიო მელანს,
ალიზარინის ფერისას
პირველხანად ქარხანა გაჰყიდის მელანს ორ-ორ გირვანქიან ბოთლებით.
ლაზარეთებს ‍ და სამხედრო დაწესებულებათ შეღავათით დაეთმობათ.
მელანი პირის გადასაღებადაც (კაპიროვკა) კარგია.
დაკვეთა დაუყოვნებლივ სრულდება
ადგილობრივ თუ გაგზავნით.
საჭიროა აგენტები, როგორც თბილისში, აგრეთვე სხვა დაბა ქალაქებშიაც.
მისამართი: თბილისი, მოსკოვის ქუჩა, № 16, „ალაროდია“.
(თ.—228—თ.)

„სავაჭრო სახლი“ (საწყობი)
ერ. ივ. ჭავჭავაძისა და
ი. ი. გველესიანისა
იმყოფება შუა ბაზარში, მანთაშევის ქარვასლაში.
ისყიდება პარტიობით ყოველნაირი საგალანტერეიო საქონელი:
ჩულქეულობა, ქოლგები, თეთრეულობა, ვიშივკები, კოსმეტიკა და სხვა და სხვა ახალმოდის საქონლები ხელმისაცემ ფასებში სხვა და სხვა სოფლის კოოპერატივებისთვის.
(101—წ.)

1917 წ. მიიღებ ხელის მოწერა
დასურათებულ საყმაწვილო ჟურნალ
„ნაკადულ“-ზე
წელიწადი მეთორმეტე
ჟურნალი „ნაკადული“ გამოვა ჩვეულებრივი პროგრამით, საგანგებოდ მოწვეულ სარედაქციო კომისიის ხელმძღვანელობით.
ჟურნალი გამოდის თვეში ორჯერ
24 წიგნი „ნაკადული“-სა მცირე წლოვანთათვის. 12 წიგნი „ნაკადული“-სა მოზრდილთათვის.
ყოველი წიგნის 1-ლ გვერდზე იქნება მოთავსებული გამოჩენილ მხატვართა ნახატი
ფასი ჟურნალისა: წლიურად ორივე გამოცემა—5 მან. იმათთვის, ვინც ჟურნალს რედაქციაში მოიკითხავს, გაგზავნით კი 6 მან. ნახევარ წლით—3 მ. გაგზავნით 3 მ. 50 კ., ცალ-ცალკე: მცირე წლოვანთათვის 24 წიგნი 3 მ. გაგზავნით 3 მ. 50 კ. მოზრდილთათვის 12 წიგნი—3 მან. გაგზავნით 3 მ. 50 კ. ფულის შემოტანა შეიძლება ნაწილ-ნაწილადაც.
ფოსტისთვის: Тифлисъ Головинскій пр., 8. შემოსასვლელი დავითის ქ. № 2. დაწვრილებით ჟურნალში. რედაქტორი ნინო ნაკაშიძე
გამომცემელი თ-დ პავლე იოსების-ძე თუმანიშვილი.
(291—12)

თევზის მრეწველნი
ძმ. ძეგველოვები
პუშკინის ქუჩა, საკუთარი სახ., № 9, ტელეფონი № 712.
ყოველ დღე მოგვდის საკუთარ და სავაჭრო სახლ. „ლ. მაილოვის-ზვით, სამრეწველოებიდან ახალი ქვირითის ხიზილალა, მცირე მარილიანი, შავი „მეშოხნი“ ხიზილალა. მიეიღეთ საუკეთესო სალიანის შამაიები მუდმივ გვაქვს ცოცხალი თევზი. აგრეთვე ახალ-ახალი მტკვრის ზუთხი, თართი, ფარგა და ლოქო, გვაქვს აგრეთვე მიღებული ყოველგვარი კონსერვები და სარდინკები რუსეთის და საზღვარ-გარეთის ფირმებისა ხანგრძლივ ინახება.




სტამბა „ცხოვრება“ ა. კალანდაძისა, გაგარინის შესახვევი № 4